ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 6 იანვარი, 2011 | №4 (5389) | ფასი: 30 თეთრი

## წლის სკოლის დირექტორი მერაბიშვილის დედაა

გვ.3



# შეიძლება ბოკერიამ სააკაშვილი მოგვანატროს

გვ.2

გვ.4



## კობა სუბელიანს სოსო ქარჩაიძე შეცვლის?



გვ.4

## გია ჟანტურიას საზოგადოებრივი მაუწყებლიდან უშვებენ

გვ.4

## გიორგი ყარყარაშვილი სპეციალურ განცხადებას ავრცელებს





## საქართველო სააკაშვილის რეჟიმის გასამართლებისთვის უნდა მოემზადოს

გვ.5

## ვეტერანების დარბევა ამერიკის ელჩმაც დაგმო

გვ.5

ადვოკატები შსს-ს ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებენ





## ეს ხელისუფლება არის ჭირი

გვ.3



## ბურჯანაძესა და გაჩეჩილაძეს შორის ომი ატყდა

გვ.6



თავხედმა ბურჯანა ემ გაბედა, ისე წარმოეჩინა, თითქოს ხსნა ჩამოიტანა რუსეთიდან


## 3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი


ISSN 1987-9385


10 თენგიზ არჩვაძეს ვარსკვლავს გაუხსნიან

9 „დინამოდან“ ლიდერები გაუშვეს, „ბაიას“ დახმარებას გუბერნატორი დაჰპირდა

8 „მოამბემ“ იუბილე აღნიშნა

9 მესუტ ოზილი: „ვიპ ცხოვრება არ მიყვარს“

# შეიძლება ბოკერიამ სააკაშვილი მოგვანატროს

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ პოლიტოლოგ რამაზ კლიმიაშვილთან

*— ბატონო რამაზ, როგორც ექსპერტი, პოლიტოლოგი, როგორ შეაფასებდით მიხეილ სააკაშვილის მოღვაწეობის 7 წლისთავს?*

— თვითონ შეაფასა თავისი მმართველობის 7 წლისთავი და შეაფასა იმით, რომ დაარბია ომის ვეტერანები. ამაზე სამარცხვინო რა უნდა გაეკეთებინა? როგორი სამარცხვინო პიროვნებაც არის, ისეთი სამარცხვინო რამ გააკეთა. ნუთუ თავისი იუბილე სხვაგვარად არ შეეძლო აღენიშნა? ყველამ ვიცით, რომ ის ვერ იტანს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს, მაგრამ აფხაზეთის ომის ვეტერანებსაც ვერ იტანს? ეს რა საშინელებაა! მისი ბრძანების გარეშე ეს საზიზღრობა არ მოხდებოდა. სწორედ სააკაშვილმა გასცა ამის ბრძანება. რატომ აქვს ასეთი ბოლმა, ვერ გავიგე. პირადად მე ძალიან მრცხვენია ამ ყველაფრის გამო, იმიტომ რომ 7 წლის წინ მეგონა, მიშა რაღაცას წარმოადგენდა და რაღაც კარგს გააკეთებდა ქვეყნისთვის. როდესაც ჟვანია მთხოვდა, ჩემს გუნდში მოდიო, უარი ვუთხარი — მე და მიშას კარგი ურთიერთობა გვაქვს და მას უნდა დავუჭირო მხარი-მეთქი. თვითკრიტიკულად ვამბობ ამას. სააკაშვილს შეეძლო ძალიან ბევრის გაკეთება, მაგრამ ვერ გააკეთა. არც ნიჭი აქვს, არც ტალანტი, არაფერი აქვს. მთელი მისი პრეზიდენტობა ეს არის — ჩაჯდება თავის კერძო თვითმფრინავში და პილოტს ეკითხება, სად წამიყვან ახლაო. იქნებ ამიხსნას ვინმემ, რით გამოიხატება ქვეყნის მართვა? ლუარსაბ თათქარიძესავით რომ დაუცაცხანებს ხოლმე თავის მინისტრებს, ისინი კი თავჩაქინდრული სხედან ხან მღვიმეში, ხან ტბასთან და ხან სახლის სახურავზე, ასეთ რამეს არავინ აკეთებს. ეს არის ქართველი ერის სირცხვილი.

*— ფიქრობთ, რომ ეს 7 წელი აბსოლუტურად წარუმატებელი იყო?*

— აბსოლუტურად წარუმატებელი. ვიმეორებ, მაგას შანსი ჰქონდა, ვიდრე ჟვანია და ბადრი პატარკაციშვილი ცოცხლები იყვნენ, ეს ორი შესანიშნავი ადამიანი, სააკაშვილი წესიერად იქცეოდა. აღარ არიან ისინი და ნახეთ, რაებს აკეთებს. ვიმეორებ, მაინტერესებს, რით გამოიხატება ქვეყნის მართვა? გზები დაავაგეო. რომელი დიდი მეგზევე ეგ არის. ჯერ ერთი, თვითონ კი არ აგებს, მას აფინანსებს აზიის განვითარების ბანკი. ჩვენთან ამას არც კი ამბობენ ხმამაღლა. ადრე მსოფლიო ბანკი აფინანსებდა, მაგრამ 2008 წლის შემდეგ შეწყვიტეს ეს დაფინანსება. ახლა მოძებნეს აზიის განვითარების ბანკი და ის აფინანსებს გზების მშენებლობას. ძალიან კარგია, გზები თუ გვექნება, მაგრამ აქ სააკაშვილი რა შუაშია? არაფერ შუაში არ არის. კიდევ სულ იმას რომ გაიძახის, დენი გვაქვსო, განა სირცხვილი არ არის დღეს ამაზე ლაპარაკი? დენი ჩრდილო კორეაშიც კი აქვთ კომუნისტურ რეჟიმში.

*— როდის იყო ყველაზე წარუმატებელი პერიოდი სააკაშვილისთვის, რომელ წლებს გამოყოფდით?*

— 2008 წელს, რასაკვირველია. როგორ გააკეთა ეს, ასეთ ავანტიურაზე როგორ წავიდა. ჩვენი ტერიტორიები ძალიან დიდი ხნით დავკარგეთ, თუ მიშა არ წავიდა. თუ მიშა წავა, მოვა ვინმე ჭკვიანი და დაგვიბრუნებს. ძალიან ძნელი იქნება, განსაკუთრებით — აფხაზეთის დაბრუნება. კოდორი შეიძლება დავიბრუნოთ. რუსეთი ასე ადვილად ე.წ. დეოკუპაციას არ გააკეთებს. სასაცილოები არიან, როდესაც ამბობენ, საერთაშორისო ზეწოლით მოხდება დეოკუპაციაო. არაფერი მოხდება აბსოლუტურად, ვიდრე მიშაა. აი, წავა მიშა და მაშინ აფხაზებსაც მოველაპარაკებით და ოსებსაც. ახლა ერთ საშინელებას ვიტყვი: სააკაშვილმა აფხაზეთის ომის ვეტერანები რომ დაარბია, იქნებ ამით უნდა, სეპარატისტებს მაგარ ბიჭად მოაჩვენოს თავი?! ვიცი, საშინელებაა, რასაც ვამბობ, მაგრამ უნდა ვთქვა, იმიტომ რომ, სხვა ახსნა ვერ მიპოვია, როგორ შეიძლებოდა ამ ხალხის დარბევა. წელიწადზე მეტი იომეს. ღალატი რომ არ ყოფილიყო, აფხაზეთს არ დავკარგავდით.



### საქართველო ასეთ პრეზიდენტს არ იმსახურებს

*— მაინც რა იყო მიზეზი, რატომ დაარბია?*

— მას ჰკითხეთ. თვითონ იცის, რატომ დაარბია?! ერთადერთი ახსნა ეს მაქვს, რომ ამით სეპარატისტებს უთხრა, ნახეთ, ეს ხალხი თქვენ გეომებოდათ, მე კი ისინი დავარბიეო. ვიცი, ძალიან ბევრი გაბრაზდება ჩემს ნათქვამზე, მაგრამ გაბრაზდნენ და ცივი წყალი დალიონ. როგორ შეიძლებოდა მაგის გაკეთება, რაც მან გააკეთა. ეს არის სირცხვილი. გამოდის, რომ ლუკაშენკოს ეჯიბრება. ლუკაშენკოს უწოდებენ ევროპის უკანასკნელ დიქტატორს და მიშას უნდა, თვითონ იყოს ახლო აღმოსავლეთის უკანასკნელი დიქტატორი? თუ ირანის პრეზიდენტს ეჯიბრება სიგიჟეებში?!

*— რაიმე დადებით მოვლენას თუ გამოყოფდით? მესმის, რომ იმედები გაგიცრუვათ სააკაშვილმა, მაგრამ მაინც...*

— პატარ-პატარა რაღაცები შეიძლება კარგიც იყო ამ წლების განმავლობაში და ნამდვილად იყო, მაგრამ რატომ დავაბრალოთ სააკაშვილს? ეს ნორმალურია, ქვეყანა ვითარდებოდა და რაღაცა კარგი ხდებოდა. მე არ მივეკუთნები იმ ადამიანებს, ვინც იტყვის, რომ ამ 7 წლის განმავლობაში არაფერი მომხდარა სასიკეთო. რაღაც იყო, მაგრამ იყო ბევრი უაზრო ექსპერიმენტი განათლების სფეროში, მედიცინის სფეროში. თითქმის ყველა სფეროში. რომ იტყვიან, სააკაშვილმა ხალხი გააღატაკა. ფაქტიურად, მოხდა სოციალური კატასტროფა, იმიტომ რომ, არ იცის ქვეყნის მართვა.

*— სოციალური ფონი, ალბათ, დამეთანხმებით, საკმაოდ მძიმეა, დღითიდღე მატულობს ფასები...*

— აბსოლუტურად ყველაფერს აძვირებენ. ჯარიმებს ზრდიან. ტერორიზებული ჰყავთ მცირე მეწარმეები. არადა, მცირე მეწარმეობის გარეშე როგორ შეიძლება, ქვეყანა ფეხზე დადგეს. ნაპოლეონი თავის დროზე ხომ იყო ძალიან დიდი კაცი და მან ისე დაცინვით თქვა დიდ ბრიტანეთზე, ბრიტანეთი რა ქვეყანაა, მცირე მეწარმეების ქვეყანააო, პატარა მაღაზიების მეპატრონეების ქვეყანაო და, ბოლოს ვინ დაამარცხა ნაპოლეონი? ისევ ინგლისელებმა. უმდიდრესი ქვეყანაა და მთელი ევროპის ბატონ-პატრონები იყვნენ მე-19 საუკუნეში. სწორედ მცირე მეწარმეობით არიან განვითარებული ბრიტანელები, იმიტომ რომ მცირე მეწარმეა ქვეყნის ხერხემალი და არა ვანო მერაბიშვილი. ბოდიშს მოვიხდი ასეთი შედარებისთვის. როგორ შეიძლება მცირე მეწარმეების ძარცვა, ყოველდღიურად, სისტემატურად. მსხვილი მეწარმეები ჯიბეში უსხედან ისედაც. მის ქმედებებში ვერავითარ ლოგიკას ვერ ვხედავთ. ვერ გავიგეთ, ამ კაცს რა უნდა, ბოლოს და ბოლოს? ან რატომ დაარბია აფხაზეთის ვეტერანები, ვეძებთ ლოგიკას, სად არის ამაში ლოგიკა? არანაირი ლოგიკა არ აქვს მაგ კაცს. არ შეიძლება, ასეთი არასერიოზული კაცი იყოს ქვეყნის პრეზიდენტი და გვარცხვენდეს ყოველ ნაბიჯზე. კარგია, პრეზიდენტის უფლებამოსილება რომ მცირდება. რასაკვირველია, ქვეყანას სჭირდება სახელმწიფო მეთაური, მაგრამ ძალიან ცოტა ფუნქცია უნდა ჰქონდეს. ის ხალხი კი არასერიოზულია, ვინც ამბობს, რომ სააკაშვილი პრემიერმინისტრობას აპირებს. კარგით, რა, რანაირად? თვითონ მოკურცხლავს საქართველოდან, როცა საბოლოოდ მიხვდება, რომ ხალხი ვერ იტანს, მოკურცხლავს და დაიმალება სადმე თავისი მოპარული მილიონებით. არავითარი პრემიერ-მინისტრი ეგ არ იქნება, თუმცა, იქნება ვიღაც მისი გუნდიდან.

*— ოპოზიციაზე რისი თქმა შეგიძლიათ?*

— ოპოზიციამ ბევრით ვერაფრით გამოიჩინა თავი. ხომ იცით, ჩვენი ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, ყველას პირველობა უნდა. ეს ოპოზიცია ერთად რომ ყოფილიყო, დიდი ხანია გაგდებული ეყოლებოდათ სააკაშვილი, მაგრამ ყველას პირველობა უნდა. ყველას ასე წარმოუდგენია, რომ თვითონ არის მსოფლიოს ჩიტი. არ არის ასე. აბა, ერთად ყოფილიყვნენ, მაგრამ ეს ქიშპობა, ბოღმა ერთმანეთის მიმართ, კომპრომატების დადება ერთმანეთზე. როგორ შეიძლება, ასეთ დროს ოპოზიციის შიგნით განხეთქილება იყოს. დღეს ქვეყანა პრაქტიკულად დაღუპულია. იმის მაგივრად, რომ ჯერ გადავარჩინოთ ქვეყანა და მერე ყველას მივუჩინოთ თავისი ადგილი, ესენი ერთმანეთს ებრძვიან. ხალხო, ჯერ ქვეყანაა გადასარჩენი, რამენაირად დაკარგული ტერიტორიები უნდა დავიბრუნოთ, რაც ძალიან ძნელი იქნება, დღევანდელი გადასახედიდან თითქმის შეუძლებელი. თუმცა, რაღაც შანსი მაინც არსებობს. ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სააკაშვილი სადღაც გადაკარგულში იქნება.

*— ამბობენ, გაზაფხულზე საპროტესტო ტალღა იქნებაო. თქვენ თუ ელით მსგავს რამეს?*

— ამას ოპოზიცია კი არ ააგორებს, თავად ხალხი გამოვა, მშიერი ხალხი და მშიერ ხალხზე უფრო საშიში არაფერია. ჩვენ ვიცით, მთელი ეს რევოლუციები როგორ მომხდარა, არც ერთი დიდი რევოლუციის დროს პოლიტიკოსი არ იდგა ამის სათავეში. ხალხი გამოდიოდა, მშიერი, დაბოღმილი და ანგრევდა ქვეყანას. ეს ძალიან ცუდი იქნება, მაგრამ, როგორც ჩანს, გარდაუვალია. პირადად მე ვხედავ, რომ რევოლუცია მოდის და ეს ძალიან ცუდი იქნება ქვეყნისთვის. პირველ რიგში, ეს იქნება სააკაშვილისა და მთელი მისი გუნდის ბრალი.

*— თქვენ ფიქრობთ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები არ იქნება?*

— არავითარი 2012 წელი. საპარლამენტო არჩევნები შეიძლება წელს იყოს, იმიტომ რომ როგორმე თავი გადაირჩინონ. მათ მიაჩნიათ, რომ სწორედ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებით გადაირჩენენ თავს. თუ იქნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, იქნება ისევ გაყალბებული. ძალიან სამწუხაროა ეს ყველაფერი. მერე საერთაშორისო ორგანიზაციებიც პირს დააღებენ და იტყვიან, ოხ, რა დემოკრატიულად ჩატარდა ეს არჩევნებიო. ოღონდ, ზუსტად ვიცი, რომ სააკაშვილი აღარ იქნება, მაგრამ მისი გუნდი იქნება. ეს კი ძალიან ცუდია.

*— ბოკერიაზე საუბრობენ...*

— კი, ნამდვილად. მე ადრეც ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, გაცილებით ჭკვიანი და მიზანმიმართული ადამიანია და სწორედ ასეთი კაცია საშიში. შეიძლება, მერე სააკაშვილი მოგვენატროს, როგორც სააკაშვილმა შევარდნაძე მოგვანატრა. შეიძლება, მერე ბოკერიამ მოგვანატროს სააკაშვილი. შეიძლება, ასეც მოხდეს, მე კარგს არაფერს ველოდები. არ მინდა, ხალხს გული გავუტეხო, მაგრამ ბევრი რამე ხალხის ბრალიცაა. არსებობს გამოთქმა — ყველა ერს ჰყავს ისეთი ხელისუფლება, როგორსაც ის იმსახურებს. ეს არის საშინელება. ე.ი. ჩვენ ვიმსახურებთ სააკაშვილს? ასე გამოდის. ამიტომ, უნდა დავუმტკიცოთ მთელ მსოფლიოს, რომ ასე არ არის. ჩვენ სააკაშვილს არ ვიმსახურებთ.

# პოლიტიკოსები სახალხო კრების მსახურები უნდა იყვნენ და არა უფროსები



მოძრაობა „თეთრების“ ლიდერ თემურ შაშიაშვილის განცხადებით, გუშინ მას სახალხო წარმომადგენლობითი კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრებთან ძალიან რთული და მძიმე საუბარი ჰქონდა.

როგორც შაშიაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მან აღმასრულებელი საბჭოს წინაშე რამდენიმე წინადადება დააყენა, რომელსაც გუშინდელ სხდომაზე რამდენიმე საათის განმავლობაში განიხილავდნენ.

თეთრების ლიდერის განმარტებით, იგი მოითხოვს, რომ სახალხო კრებიდან პოლიტიკოსების გარკვეული დისტანცირება მოხდეს. შაშიაშვილი იზიარებს ზაზა პაპუაშვილის პოზიციას და აცხადებს, რომ პოლიტიკოსები სახალხო კრების მსახურები უნდა იყვნენ და არა უფროსები.

— მე არასდროს ვიძლევი ინტერვიუებს სახალხო კრების ოფისში, რადგან მიმაჩნია, რომ ეს პოლიტიკოსმა არ უნდა გააკეთოს. იქ არიან მორალური ავტორიტეტები: ნონა გაფრინდაშვილი, რეზო ესაძე და სხვები და სწორედ მათზე უნდა გააკეთდეს აქცენტი. მიმაჩნია, რომ ვინც კრებიდან დისტანცირება მოახდინეს, მასთანაც უნდა გავიაროთ კონსულტაციები, რადგან ჩემთვის ეროვნული ფორუმის და ეკა ბესელიას წინადადებები სულ ერთი არ არის. ასევე მივიჩნევ, რომ უნდა გაიზარდოს სათათბირო ორგანო — დარბაზის ფუნქცია, — განაცხადა შაშიაშვილმა და არ გამორიცხა, რომ „თეთრებმა“ კრების საქმიანობაში მონაწილეობა ეროვნული ფორუმის„ მსგავსად, განსხვავებულ რეჟიმში გააგრძელონ.

შაშიაშვილის ინფორმაციით, სახალხო წარმომადგენლობითი კრების აღმასრულებელი საბჭოს მორიგი სხდომა 8 ან 9 იანვარს გაიმართება.

**მედიანიუსი**



# სოსო ცისკარიშვილი: ხელისუფლებას ტრადიციული კურორტები არ აინტერესებს

საქართველოს ხელისუფლებისთვის საბჭოთა პერიოდის კურორტები ნაკლებად საინტერესოა, რადგან მათ ნაციონალური მოძრაობის მიერ აღორძინებულად ყულაბაში ვერ მიითვლის, - აცხადებს ეკონომიკის ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი.

— არსებობს ადამიანთა ჯგუფი, რომლისთვისაც მთავარია თავისი სახელი ერქვას რაიმეს და თუ მისი გაკეთებულიო არ არის, ის მას არ წარმოაჩენს. საბჭოთა პერიოდის კურორტები, რომლებიც მსოფლიო ტურიზმის რიგებშიც შედიოდა, ნაკლებად საინტერესოა ხელისუფლებისთვის, რადგან ვერც ბაკურიანს, ვერც ბორჯომს, ვერც შოვსა და ვერც წყალტუბოს ხელისუფლება ნაციონალური მოძრაობის მიერ აღორძინებულად ვერ მიითვლის, — აღნიშნა „მედიანიუსთან“ საუბრისას ცისკარიშვილმა.

მისი თქმით, ხელისუფლებას უახლოეს პერიოდში აშენებულ გასართობ ცენტრებს შეუძლია თავისი სახელი დაარქვას, თუმცა ყველამ კარგად იცის, ეს ყველაფერი დიდი ოდენობით ვალის ხარჯზე შენდება და ეს ვალი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მოსახლეობას დააწვება კისერზე.

— ტრადიციულ კურორტებზე აფხაზეთიდან ჩასახლებული ლტოლვილები ეგულებათ. ზოგადად ლტოლვილებს მხოლოდ თბილისში ერჩიან, რათა საქართველოს დედაქალაქში საპროტესტო მუხტი არ იყოს მძლავრი, ხოლო რამდენი ლტოლვილი დაიკავებს საირმეს, შოვისა და წყალტუბოს სანატორიუმებს, ეს ხელისუფლებას სულ არ ადარდებს. შესაბამისად, შენობებიც რომლებიც ქართული სამკურნალო ტურიზმისთვის სავიზიტო ბარათს წარმოადგენდა, თვითონ არის „სამკურნალო“ და გადასარჩენი, — განაცხადა ცისკარიშვილმა.

ექსპერტის განმარტებით, განუვითარებელი სოფლის მეურნეობის პირობებში, მაშინ, როდესაც ადგილობრივი მოსავალი მოხმარებული პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს, ტურიზმის განვითარება მხოლოდ წამგებიან დარგად შეიძლება ჩაითვალოს.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# წლის სკოლის დირექტორი მერაბიშვილის დედაა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა მთავრობის პირველი სხდომა გამართა. სხდომა უპრეცედენტოდ მოკლე დროში დასრულდა. ამის მიზეზი არა მხოლოდ ნაახალწლევს ნაბახუსევი მინისტრების განწყობა იყო, არამედ განსახილველი საკითხების რაოდენობაც.**

**მინისტრებმა მთავრობის პირველ სხდომაზე მხოლოდ 20 საკითხი განიხილეს. როგორც გაირკვა, 2011 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის პრიორიტეტული საკითხი საქართველოს მოქალაქეების დასაქმება იქნება.**



ნათია ხურცილავა

დასაქმება უკვე დიდი ხანია ამ მთავრობის პრიორიტეტია. სამუშაო ადგილების შექმნაზე ეს ხელისუფლება ყველა არჩენების წინ საუბრობს. დასაქმების პროგრამა მერიაში უკვე დიდი ხანია მოქმედებს, მაგრამ, რამდენი მოქალაქე დაასაქმეს, ამის ზუსტი მონაცემები არ არსებობს.

შეიძლება ქალაქის მერიამ ადამიანები დაასაქმა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში უპირველეს პრობლემად ისევ დასაქმება რჩება.

გიგი უგულავას შემდეგ ამ პრობლემის გამკლავებას ვერა ქობალია შეეცდება. როგორ აპირებს ქობალია მოქალაქეების დასაქმების პრობლემის გადაჭრას, ეს გეგმა მას მთავრობის სხდომაზე არ წარუდგენია, თუმცა ამაზე მინისტრმა გუშინ მთავრობის სხდომაზე განცხადება გააკეთა.

ნიკა გილაურმა გუშინდელ მთავრობის სხდომაზე კიდევ ერთხელ შეაჯამა გასული წელი.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, 2010 წელი იყო რთული, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით — წარმატებული.

პრემიერ-მინისტრმა ასევე ისაუბრა იმაზე, რომ იყო ინფლაციური წნეხი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს 2011 წელს.

ნიკა გილაური აცხადებს, რომ მიმდინარე წელს ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდაა მოსალოდნელი.

მიუხედავად დიდი ფინანსური და ეკონომიკური კრიზისისა, გილაურის განცხადებით, საქართველომ გასული წელი ნაკლები პრობლემებით განვლო.

მინისტრთა კაბინეტი, ნიკა გილაურის განცხადებით, მიმდინარე წელს ახალი შემართებით განაგრძობს საქმიანობას.

— ახალი საგადასახადო კოდექსი შევიდა ძალაში, რომელიც რეალურად დაიწერა ძალიან მჭიდრო თანამშრომლობით კერძო სექტორთან. მინდა, ყველას ვთხოვო, თუ რამე ხარვეზი ან პრობლემა იქნა ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით, დაუკავშირდნენ ფინანსთა სამინისტროს, შემოსავლების სამსახურს. პრემიერ-მინისტრის აპარატს, სადაც არის ბიზნეს-ომბუდსმენი და ჩვენ შევეცდებით, უახლოეს პერიოდში გამოვასწოროთ. ეს არის ჩვენი ახალი მიმართულება, ეს არის ჩვენი ახალი კურსი, — განაცხადა ნიკა გილაურმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერა ქობალიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ 2011 წელი იქნება დასაქმებისა და სამუშაო ადგილების შექმნის წელი იმ სექტორებში, სადაც საქართველოს ამის დიდი შესაძლებლობები და პოტენციალი აქვს.

— ახალი სამუშაო ადგილები უნდა შეიქმნას იმ სექტორებში, სადაც რეალურად შეგვიძლია შევქმნათ სამუშაო ადგილები. ეს არის როგორც ენერგეტიკის, ისე სოფლის მეურნეობის სექტორში იმისთვის, რომ ხალხს ჰქონდეს საშუალება, თვითონ მოიპოვონ შემოსავალი, ასევე ტურიზმის სექტორში გავაგრძელებთ მუშაობას, — განაცხადა ვერა ქობალიამ.

ამ წლის პირველ მთავრობის სხდომაზე მინისტრთა კაბინეტმა, პრემიერ-მინისტრთან ერთად, წლის პრიორიტეტები განსაზღვრა.

როგორც ცნობილი გახდა, პრიორიტეტები იგივე რჩება.

ჯანდაცვა და განათლება ისევ პრიორიტეტული მიმართულებები იქნება ხელისუფლებისთვის.

2010 წლის ბოლოს ჯანდაცვის სისტემაში კიდევ ერთი მინისტრი შეიცვალა. მიუხედავად მინისტრების რეკორდული ცვლილებისა, ეს სამინისტრო ამ ხელისუფლებისთვის ისევ აქილევსის ქუსლად რჩება.

ჯანდაცვის სამინისტროს უკავშირდება ბოლო სკანდალიც, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მილიონობით ლარის ზარალის მიყენებას უკავშირდება.

ჯანდაცვის სამინისტრო ერთ დიდ მონსტრად იქცა საქართველოში. სრული ქაოსი და განუკითხაობა, სრული იგნორირება პაციენტის უფლებების და სხვა უამრავი პრობლემა ისევ აქტუალურია.

თუმცა, თუ ანდრია ურუშაძეს დავუჯერებთ, ის რეფორმებს ატარებს და შედეგიც იქნება.

რამდენ ხანში უნდა დადგეს შედეგი და როგორ განვითარდება მოვლენები, იქნება თუ არა პრიორიტეტი პაციენტი და მისი უფლებები სამედიცინო პერსონალის უფლებების დაცვასთან ერთად, ჯერ ისევ უცნობია.

რაც შეეხება განათლების სამინისტროს და იქ მიმდინარე მოვლენებს, აქ მართლაც სრული გაუგებრობაა.

ლომაიას რეფორმას პრეზიდენტმა სულელური უწოდა. ლომაიას ლიბერალურ მიმართულებას შაშკინმა სრული მობილიზებით უპასუხა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა არც აცია, არც აცხელა და 6 წლის ვადით არჩეული დირექტორები, მართალია, ლოტოტრონით, მაგრამ მაინც არჩეულები, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩარევით გაათავისუფლა თანამდებობებიდან, ერთ-ერთი დირექტორის ადგილზე კი სკოლის მანდატური დაინიშნა.

სკოლაში მანდატურების შესვლა კახა ლომაიას რეფორმის ჩანაფიქრი იყო, მაგრამ მაშინ მანდატურები სკოლაში არ შესულან.

შაშკინმა სწორედ მანდატურებს ანდო სკოლაში წესრიგის დამყარება.

განათლების სამინისტროს ბოლო სკანდალი მე-12 კლასელების საპროტესტო აქციებს უკავშირდება.

მე-12 კლასელების პროტესტი გამოცდების რაოდენობამ გამოიწვია. ისინი აპროტესტებენ არა მხოლოდ გამოცდების რაოდენობას, არამედ იმასაც, რომ ტესტების ნიმუში არ არის გამოქვეყნებული.

ერთ-ერთ საჯარო სკოლაში დიმიტრი შაშკინი მოსწავლეებთან მივიდა, რომ აეხსნა მათთვის, რთული ტესტები არ იქნება და ყველაფერს გააკეთებენ, რათა ადვილად ჩააბარონ, მაგრამ მოვლენები შაშკინისთვის სასურველი სცენარით არ განვითარდა.

მოსწავლეებმა სკოლიდან შეძახილებით „გააცილეს“ განათლების მინისტრი. 2010 წლის მიწურულს განათლების სამინისტრომ წლის სკოლა, სკოლის დირექტორი და მოსწავლე დაასახელა.

წლის სკოლის დირექტორის ტიტული ვანო მერაბიშვილის დედას ჟენია თუმანიშვილ-მერაბიშვილს გადასცა დიმიტრი შაშკინმა. ამდენად, პრიორიტეტული მიმართულებები უკვე განსაზღვრულია.

# ეს ხელისუფლება არის ჭირი




ნონა ცაბა ე

***— ბატონო გოგა, თქვენც იმყოფებოდით ვეტერანების აქციაზე, როგორ ფიქრობთ, რა მოხდა, რატომ დაარბიეს მშვიდობიანი მომიტინგეები? აქცია სანქცირებული იყო, რასთან გვაქვს საქმე?***

— იმიტომ, რომ ცინიზმთან გვაქვს საქმე. საქმე გვაქვს ბოროტებასთან, საქმე გვაქვს ძალადობასთან. ყოველდღიურად ცდილობენ დათრგუნონ საზოგადოება და დაუმტკიცონ, რომ მათ თავზემოთ ძალა არ არის და რასაც უნდათ, იმას გააკეთებენ. იმ ქვეყანაში, სადაც ადამიანები ძალაუფლებას ფლობენ, პატივს არ სცემენ არც წარსულს, არც მომავალს და არც აწმყოს, არა მგონია, რომ იქ რაიმე სასიკეთოს ელოდო. ეგეთი დამოკიდებულება ვეტერანებისადმი ნიშანია იმის, რომ დაარწმუნონ საზოგადოება, ვინ როდის იშიმშილებს, რა დოზოთ, რა ზომით და როგორ, ამასაც თვითონ გადაწყვეტენ. ამის უფლებაც ადამიანებს არა აქვთ მათ გარეშე. ეს არის აბსოლუტური ავტორიტარიზმისკენ გზა. სააკაშვილი ამ გზას დიდი ხანია ადგას და ყოველ ნაბიჯზე ცდილობს გაერკვეს, რამდენად შეეგუება ამას საზოგადოება. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ყველაფერს ეგუება, თავზე ლაფის დასხმას, შეურაცხყოფას, ძალადობას, უკანონობას. რა ვიცი, რა გითხრათ, ეს საზოგადოების არჩევანია, ამას ხუთი, ათი და ასი კაცი ვერ უშველის. ამას უნდა საერთო გადაწყვეტილება. ან მოიშორო ეს ჭირი და ვარამი, ან გააგრძელო ამ სიბილწეში ცხოვრება. ბუნებრივია, რომ შედეგად უბრალო ადამიანები განიცდიან დევნა-შევიწროებას და სხვისი ტკივილები ადამიანებს არ სტკივათ.

***— აფხაზეთის ომის ვეტერანები ისეთი ხალხია, რომ მათ მთავრობა პატივს უნდა სცემდეს...***

**საკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა ჩემპიონთა ლიგა კი არაა, შემოდგომაზე დაიწყოს და გაზაფხულზე დაამთავრო.**

— ეს მთავრობა არავის არ სცემს პატივს, ეს მთავრობა ღმერთს არ სცემს პატივს, ჩვენ ტრადიციებს არ სცემს პატივს, ერთმანეთს არ სცემს პატივს და რაზე უნდა ვილაპარაკოთ. შიდა წრეში როგორი დამოკიდებულება აქვთ და როგორი მორალი, ამის მშვენიერი მაგალითებია და ამიტომ რაიმე ტიპის პატივისცემის მოლოდინი სააკაშვილისგან, ვფიქრობ, აბსოლუტურად უადგილოა. საზოგადოება რატომ არ სცემს პატივს, აი, ეს არის ჩემთვის გასაკვირი და რატომ არ იცავს თავის თავს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ იქ იმ კონკრეტული ადამიანების დასაცავად არის მისვლა საჭირო, ძალიან ცდება. საკუთარი თავის და საკუთარი მომავლის დაცვაა საჭირო იმიტომ, რომ ისევე, როგორც ექცევიან ვეტერანებს, ყველაზე დამსახურებულ ადამიანებს, ყველაზე გასაცოდავებულ ადამიანებს, დევნილებსაც ზუსტად ისევე ექცევიან და კიდევ უარესად. ზუსტად ასე ექცევიან ჩვენს ცოლებს, დებს, დედებს და ამის მწარე მაგალითები გვქონდა, თუნდაც იმ 150 ქალბატონის აყვანა ერთ დღეში და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ისინი არაფრის წინაშე არ გაჩერდებიან, რაც მეტს დაუთმობ, მით მეტს გაკადრებენ. ვნახოთ, დაველოდოთ, როდის მიხვდება ამას ხალხი.

***— რატომ დაკარგა საზოგადოებამ პროტესტის გრძნობა, რატომ დუმს ხალხი?***

— იმიტომ, რომ რწმენა არა გვაქვს, ეს არის ყველაზე დიდი უბედურება. რწმენა დავკარგეთ, ჩვენ ვართ ქრისტიანობის და მართლმადიდებლობის დეკლარატორები. ჩვენ ვლაპარაკობთ ამაზე, იქ ეკლესიებს ვაშენებთ და ვფიქრობთ, რომ მოპარული ფულით ეკლესიის მშენებლობაში ჩადება საკმარისია იმისთვის, რომ ღმერთმა ის ცოდვები გაპატიოს, რომელსაც ყოველდღე სჩადიხარ, ეგრე არ არის. ასეთი მომენტები ყველა ერის ცხოვრებაში არის, რამდენად დიდხანს გრძელდება, ეს დამოკიდებულია თვითონ საზოგადოებაზე. დღეს ჩვენ დიდი მონღოლობა გვიდგას, დაახლოებით მაგ დღეში იყო საქართველო მონღოლების დროს, როდესაც სრული განუკითხაობა სუფევდა და ძალადობა, რასაც უნდა იმას სჩადიოდნენ, დღეს სწორედ ამასთანა გვაქვს საქმე. მაშინ იმით შეიძლებოდა თავის მართლება, რომ ისინი დამპყრობლები იყვნენ და მსოფლიო დონის იმპერია იყო, ვენამდე იყვნენ მისულები და ვენისთვის ჰქონდათ ალყა შემორტყმული, მაგრამ დღეს საკუთარი შვილები, თუ შეიძლება მათ საერთოდ ამ ქვეყნის შვილები ეწოდოთ, სააკაშვილს და მის ალვირახსნილ ბანდას ვგულისხმობ, ამ კრიმინალურ დაჯგუფებას, დღეს ესენი მართავენ ქვეყანას და ვერავის ვერ დააბრალებ, რომ ძალა აღმართს ხნავს. იქ ძალაც არ არის. ფარცაკების გუნდია, მაგრამ სამწუხაროდ, რობინ ჰუდებიც არ არიან ამ ქვეყანაში და არც არსენა ოძელაშვილები, თორემ, რა თქმა უნდა, ესენი დიდხანს ვერ გასტანდნენ. ეს არის შემგუებელი საზოგადოება, რომელიც საკუთარ კეთილდღეობას 20-15 სანტიმეტრის რადიუსით ხედავს თავის გარშემო და წინ არ იყურება.

***— ბატონო გოგა, ამოიცნეს ქართული პარტიის წევრ ქალბატონზე თავდამსხმელი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი აღმოჩნდა, თუმცა სამინისტრომ ამაზე კომენტარი არ გააკეთა...***

— სამაგიეროდ, იმან თვითონ გააკეთა კომენტარი, როდესაც დაურეკა იმას, ვინც ამოიცნო და თქვენ იცით ალბათ ვინ ამოიცნო და მთელი პრესის თანდასწრებით, იმიტომ, რომ დაჩი ცაგურიას ტელეფონი ხმამაღალზე ჰქონდა გადართული, მთელი პრესის წარმომადგენლებს, ვინც იმ წუთში იქ იყვნენ, ესმოდათ, როგორ აგინებდა და როგორ ემუქრებოდა დაჩი ცაგურიას ის ადამიანი. თუმცა იმ დაწესებულებაში, სადაც ცილისმწამებლები, ყალბი ჩვენებების მიმცემები, მექრთამეები და უბრალოდ ვიგინდარები არიან შეკრებილნი და რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ჰქვია, მათგან რას უნდა ველოდოთ? ესა არის ადამიანების ჯგუფი, რომლებიც მოწოდებულები არიან მხოლოდ იმისთვის, რომ სიცრუე და სიყალბე განავრცონ თავის გარშემო. იმიტომ, რომ ის, რაც სასამართლოებში ხდება ამ რეფორმირებული პოლიციელების მხრიდან, ეს არის სრული განუკითხაობა. დღეს ჩვენ ვზრდით ცილისმწამებლებს, რომლებსაც „პაგონები“ აქვთ და ძალაუფლება გააჩნიათ, ამ დროს კი ყველა ნაბიჯზე ცრუობენ და ცილს სწამებენ უბრალო მოქალაქეებს.

***— 7 წლისთავია სააკაშვილის გაპრეზიდენტებიდან და მან ეს დღე ვეტერანების დარბევით დააგვირგვინა...***

— მე ვფიქრობ, მან ისეთი ფაქტებით დაამძიმა თავისი პრეზიდენტობა საქართველოში, მართალია უზურპირებული, აბსოლუტურად უკანონო. მარტო აგვისტოს მოვლენებია საკმარისი იმისთვის, რომ ის თვითონ, მისი გვარი და მისი მოდგმა სამუდამოდ დაწყევლილი იყოს საქართველოს ისტორიაში. მარტო ეს იქნება საკმარისი, ყველაფერს დანარჩენს: გარყვნილებას, ძალადობას, უკანონობას და კაცის კვლას რომ თავი დავანებოთ, რომელსაც ყოველდღიურად სჩადიან მისი ხელმძღვანელობით ნაციონალური მოძრაობის წევრები და მხარდამჭერები. მე ვფიქრობ, მარტო ეს იქნება საკმარისი, რომ საფლავში ვერ მოისვენოს ვერც მაგან და ვერც მისმა მოდგმამ. ეს ფაქტი განსაკუთრებით არაფრით არ გამოირჩეოდა. ჩემი აზრით, ეს უფრო საზოგადოებისთვის არის სამარცხვინო, ვიდრე სააკაშვილისთვის, რაც ვეტერანებს გაუკეთეს და რასაც ეს გარეწრები ბედავენ.

***— ექსპერტთა ნაწილი საუბრობს იმის შესახებ, რომ გაზაფხულს აღარ გადაცდება ამათი ბოგინი და სერიოზული პროცესებია მოსალოდნელიო. თქვენ რას ფიქრობთ, გაზაფხული, შემოდგომა არ დაგველია, მაგრამ მაინც...***

— ღმერთმა გისმინოთ, მაგრამ მე მაინცდამაინც ამის წინაპირობას ვერ ვხედავ; იმიტომ, რომ ეს ბრძოლა სეზონური ხომ არ არის, ეს ხომ არ არის ხილი ან ბოსტნეული, რომელიც გაზაფხულზე ითესება და შემოდგომაზე მოდის. ეს უნდა იყოს მუდმივი მდგომარეობა ადამიანების, საზოგადოების და არა სეზონური. თქვენი თქმისა არ იყოს, აღარ დამთავრდა გაზაფხული-შემოდგომის ლოდინი. საფეხბურთო ჩემპიონატი ხომ არ არის, ან ჩემპიონთა ლიგა, რომ შემოდგომაზე იწყებოდეს და გაზაფხულზე მთავრდებოდეს. ეს უნდა იყოს მუდმივი პროცესი, ეს დუღილი და ეს აღშფოთება და შეურიგებლობა ამ სიბინძურისადმი, რომელსაც თავის გარშემო აფრქვევს სააკაშვილი და მისი გუნდი, ეს ყოველდღიური პროტესტის საგანი უნდა იყოს და არა რაღაცა ისეთი, პერიოდული.

„%!!

# კობა სუბელიანს სოსო ქარჩაიძე შეცვლის?



ნანა მიშელაშვილი

**მინისტრ კობა სუბელიანს თანამდებობას უახლოეს ხანში დაატოვებინებენ. უკვე სახელდება პიროვნება, რომელიც სუბელიანს შეცვლის. კულუარული ინფორმაციით, კობა სუბელიანს სოსო ქარჩაიძე შეცვლის.**

**კარგა ხანია მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ კობა სუბელიანს თანამდებობას დაატოვებინებენ. სუბელიანმა ამ წლის დასაწყისამდე თანამდებობა შეინარჩუნა, თუმცა, მას დიდხანს არ დატოვებენ მინისტრის პოსტზე.**

რაც შეეხება სოსო ქარჩაიძეს, თავის დროზე იგი კოორდინაციას უწევდა ზემო აფხაზეთში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების ძალებს.

სოსო ქარჩაიძეს რამდენიმე ხნის წინ შესთავაზეს მინისტრის სავარძელი. როგორც ამბობენ, ამ ეტაპამდე ქარჩაიძე თავს იკავებს ამ სამინისტროში წასვლაზე.

საერთოდ, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო საკმაოდ რთული სამინისტროა და მისი ხელმძღვანელობა მარტივი არ არის. იმ დროს, როდესაც ქვეყანაში ათასობით დევნილია, მათი პრობლემების მოგვარება საკმაოდ რთულია.

კობა სუბელიანის მიმართ პრეტენზიები კარგა ხანია ისმის. დევნილების ერთი ნაწილი სამინისტროს წინ აქციებს პერმანენტულად მართავდა და კობა სუბელიანის გადადგომას მოითხოვდა. შარშან აქციები იმით დასრულდა, რომ სუბელიანი თანამდებობაზე დარჩა.

კობა სუბელიანს თანამდებობის გარეშე დიდხანს არ დატოვებენ. როგორც ამბობენ, მას თბილისის მერიაში პოსტს გამოუძებნიან. სუბელიანისთვის თბილისის მერიაში მუშაობა უცნობი არ არის. ის მინისტრობამდე დედაქალაქის მერიაში მუშაობდა და ამდენად, მისთვის ეს სტრუქტურა საკმაოდ კარგად არის ცნობილი.

არსებობს მეორე ინფორმაცია, რომ კობა სუბელიანი სასწავლებლად აპირებს წასვლას. სუბელიანი პირველი არ იქნება, ვინც მინისტრობიდან გათავისუფლების შემდეგ სასწავლებლად წავა. მანამდე, ორი მინისტრი იყო, ვინც მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ სასწავლებლად წავიდა.

თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ სასწავლებლად წასულ მინისტრებს შორის არის ირაკლი ოქრუაშვილი და ნიკა გვარამია. მართალია ირაკლი ოქრუაშვილმა დაიბარა, რომ სასწავლებლად მიდიოდა, მაგრამ ის სასწავლებლად არ წასულა. ოქრუაშვილი სწავლის გაგრძელების ნაცვლად ოპოზიციაში წავიდა და პოლიტიკური პარტია შექმნა. განათლების მინისტრობიდან გათავისუფლების შემდეგ სასწავლებლად წავიდა ნიკა გვარამია.

ასე რომ, თუ კობა სუბელიანის მინისტრობიდან გათავისუფლების მიზეზად უცხოეთში სასწავლებლად წასვლა დასახელდა, ის არც პირველი იქნება და არც უკანასკნელი. ისე, რამდენიმე დევნილმა როდესაც შეიტყო, რომ კობა სუბელიანმა შეიძლება მინისტრის პოსტი დატოვოს და სასწავლებლად წავიდეს, ეს ინფორმაცია ძალიან გაუხარდათ.

დევნილთა ნაწილს თბილისის სხვადასხვა ობიექტიდან გამოსახლება ახლაც ემუქრება. სხვადასხვა ობიექტებში მცხოვრებ დევნილების ნაწილს 15 იანვრამდე აქვს ვადა მიცემული. ეს დევნილები ჯერ კიდევ დეკემბერში გააფრთხილეს, რომ თბილისიდან სხვადასხვა რაიონში გაასახლებდნენ.

ოპოზიციის ნაწილი იმასაც ამბობს, რომ კობა სუბელიანი თანამდებობას მანამ შეინარჩუნებს, სანამ თბილისიდან იმ დევნილებს არ გამოასახლებენ, ვისაც სხვადასხვა რეგიონში უპირებენ ჩასახლებას.

საპარლამენტო კულუარებში იმაზეც საუბრობენ, რომ დევნილთა მინისტრის პოსტის დაკავება ერთ-ერთ დეპუტატს სურს. მართალია ამ დეპუტატის გვარი არ სახელდება, მაგრამ ამბობენ, რომ ეს დეპუტატი ნაციონალური მოძრაობის წევრია.

სანამ კობა სუბელიანი მინისტრის პოსტზეა, მანამდე უმრავლესობის წევრები არ საუბრობენ თუ ვინ დაიკავებს მის სავარძელს. სამაგიეროდ, საპარლამენტო ოპოზიციის წევრები ამბობენ, რომ მინისტრთა კაბინეტს კობა სუბელიანი გამოაკლდება.

წლის დასაწყისში მინისტრთა კაბინეტში მცირე საკადრო ცვლილებები მოხდება. სავარაუდოდ, პოსტს მხოლოდ კობა სუბელიანი დატოვებს. რაც შეეხება დანარჩენ მინისტრებს, ისინი ალბათ თანამდებობას შეინარჩუნებენ. მართალია ამბობენ, რომ ცვლილებები გარემოს დაცვის სამინისტროსაც შეეხება, მაგრამ ამ ეტაპზე საუბარი მიდის სამინისტროს სტრუქტურულ ცვლილებებზე.

გარემოს დაცვის სამინისტროს სტრუქტურული რეორგანიზაცია რომ მოხდება, ეს გადაწყვეტილი საკითხია. ამ სამინისტროს რეორგანიზაციის გეგმის შემუშავება მთავრობას აქვს დავალებული. როგორი იქნება გარემოს დაცვის სამინიტრო, რა ფუნქციები დარჩება მას და რომელი სამსახურები აღარ იქნება მის დაქვემდებარებაში, ეს მას შემდეგ გაირკვევა, რაც მთავრობა კონკრეტულ გეგმას წარმოადგენს.

ერთ-ერთი ინფორმაციით, გარემოს დაცვის სამინისტროს სატყეო სააგენტო ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავა. ეს ყველაფერი ზუსტად მას შემდეგ გაირკვევა, რაც სამინისტროში რეორგანიზაცია მოხდება.

მინისტრთა კაბინეტში განხორციელებულ კოსმეტიკურ ცვლილებებს პარლამენტის თანახმობა არ სჭირდება. ერთი ან ორი მინისტრის შეცვლის დროს, მთავრობას ნდობის მოსაპოვებლად პარლამენტის თანხმობა არ სჭირდება.

მინისტრთა კაბინეტი პარლამენტში დასამტკიცებლად იმ შემთხვევაში შედის, თუ 6 მინისტრი შეიცვალა. ასე რომ, თუ საკადრო ცვლილებები განხორციელდა და კობა სუბელიანის გარდა თანამდებობას კიდევ ვინმე დაემშვიდობა, პარლამენტის შეკრების მიზეზი არ გახდება.

# გიორგი ყარყარაშვილი სპეციალურ განცხადებას ავრცელებს

**გმირთა მოედანზე სამართალდამცველების მიერ ვეტერანების აქციის დარბევასთან დაკავშირებით, „ქართული ლეგიონის“ ხელმძღვანელი, თადარიგის გენერალ-მაიორი გიორგი ყარყარაშვილი სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.**



— შთამბეჭდავი სპექტაკლის მომსწრე გავხდით. ჯერ 27 დეკემბრიდან 3 იანვრამდე კანონიერი აქციის სრული იგნორირება, შემდეგ განაჩენი დარბევის შესახებ სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევას რომ წააგავს. შემდეგ, ყველას შესაშინებლად და ყველას დასანახად დაჭერა-დაპატიმრება, როგორც ბრძოლაში გამარჯვებული ფიზიკურად რომ გაგისწორდება მოწინააღმდეგეს სანამ საბოლოოდ არ დატკბება გამარჯვების ხიბლით.

განსხვავებაც არის ჩვეულებრივი ბრძოლისაგან, სადაც დაპირისპირებული ორთავე მხარე წესების დაცვით იბრძვის. აქ ბრძოლა წესების გარეშე მიმდინარეობს, სადაც იარაღი ჩვეულებრივი ტელევიზიებია და მათი საინფორმაციო გამოშვებები, ხოლო ტყვიები ამ არხებზე მომუშავე ჟურნალისტები.

შემდეგ პოლიტიკოსების ჯერი დგება. უცბად გამოძვრებიან რათა წაქცეულებს, გაჭირვებულებს თავისი პოლიტიკური განცხადებებით და შეფასებებით საბოლოოდ გადაუარონ. გაგიკვირდებათ და ვინ ლაპარაკობს, ზოგი დიდი კაცის „პატარა“ ძმაა, ზოგი კი უბრალოდ „პატარა“ კაცი. თანაგრძნობისა და მხარდაჭერის ნაცვლად მემორიალის წაბილწვას აბრალებენ ვეტერანებს ყველაფრის დასრულების შემდეგ. დაახლოებით ისე, როგორც ბრძოლის ველზე ხდება: ბრძოლაში დამარცხებულს, ბრძოლის ველზე თავდადებულ მიცვალებულის უსულო ცხედრებს, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეუძლია, უცბად ათასი სახის ჭია და მწერი, ჭიაყელა და მატლი საიდანღაც გამოძვრებიან და მიესევიან როგორც ნადავლს, რათა შეურაცხყოფილად და წაბილწულად აქციონ სულ ცოტა ხნის წინ მჩქეფარე ცოცხალი სული.

სამწუხაროდ, უფრო სწორად, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე, საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები, პატივსაცემი ელჩები გარკვეული მიზეზების გამო სპექტაკლს ვერ უყურებენ და შეფასებებს არ აკეთებენ. თუმცა ამ სპექტაკლში დადებითი პერსონაჟებიც არიან. ყველაზე უფრო დიდი მოულოდნელობა დასარბევად მოსული პატრულის ქმედება იყო. მე იქ ვიხილე კეთილშობილი და კეთილსინდისიერი თანამშრომლები, კაცთმოყვარე და ჰუმანური ადამიანები, რომლებიც ადამიანობით გამოირჩეოდნენ. თითქმის ყველა, ზუსტად ისეთი სამშობლოს ჯარისკაცები, როგორებიც 18 წლის წინ გაგრა-ლესელიძის ბრძოლაში მინახავს, რომლებიც ჩემ ძმასთან ერთად დაეცნენ და უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ.

მადლიერებით უნდა აღვნიშნო სახალხო დამცველის და მისი აპარატის ობიექტურობა. სიმართლე გითხრათ ჩემთვის მოულოდნლად და სასიამოვნოდ. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც მხარდაჭერა და თანაგრძნობა გამოუცხადა ვეტერანებს.

კვლავ გაიმარჯვეთ. ეს უკვე მერამდენეჯერ. გამარჯვებას გილოცავთ. ალბათ საკუთარ ხალხზე მიღწეული თუნდაც ეს მცირედი გამარჯვება უდიდეს სიამოვნებას განიჭებთ. არ მჯეროდა კეთილშობილების ზღაპრის. ვუთხარი აქციის დაწყებამდე მოშიმშილეებს საკუთარი აზრი, არ დამიჯერეს. ღარიბების „აჯანყების“ მცდელობა დამარცხდა, უფრო სწორად მათი გასაჭირის თქვენამდე მოღწევის მცდელობა, მაგრამ სიღარიბე არ დამარცხებულა. პრობლემა კვლავ პრობლემად დარჩა.

ღორი ადამიანისგან იმით განსხვავდება, რომ არავიზე ფიქრობს და არავის ინდობს. ჭამა უყვარს, ჭამს ყველაფერს, ჭამს ყველას მაგივრად და ყველას ულუფას, ადამიანსაც ჭამს, მისგან შეჭმული ადამიანიც მინახავს, რამოდენიმე ადამიანი, თითქოს შიმშილით დამშეული ხარბად რომ შეექცევა სახეს, ყელს, კისერს, ვიდრე ბოლომდე არ გაძღება, იმიტომაც ჰქვია ღორი. გაგრის ტყეებში ვნახე ეს. დღევანდელი დაპატიმრებულებიც იქ იყვნენ, ჩემს გვერდზე და დამემოწმებიან, რომ არ ვტყუივარ. სიკვდილამდე გამყვება ეს ნანახი.

ადამიანიც ჭამს ადამიანს. რა გაეწყობა. დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. ვეტერანთა ერთ ჯგუფს აქციის ფორმა და ადგილი დაუწუნეს, ამავდროულად ხელისუფლებამ განაცხადა, რომ პროტესტის გამოხატვის უფლებას პატივს სცემს. ძალიან გამიჭირდა თავშეკავება. დიდი სურვილი გამიჩნდა ამ კონსტიტუციური უფლების გამოყენების, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც გალატაკებულ, ალალმართალ ხალხს 400 ლარიანი ჯარიმები დააკისრეს. მათ გაჭირვებულ ცხოვრებას ესღა აკლდა?!

ერთი თვის განმავლობაში სამართლებრივი გზით შევეცდებით, რომ ვიხსნათ თანამებრძოლები უსამართლო ხარკისგან. გამოვიჩენ სამოქალაქო პასუხისმგებლობას და 10 იანვრიდან აუცილებლად შევხვდები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს.

მიმდინარეობს კონსულტაციები თანამებრძოლებთან, ვეტერანთა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პატრიოტულ ძალებთან, აზრსაც გავითვალისწინებ და რჩევასაც მივიღებ. ვიფიქრებ კიდევ და შემდეგ მივიღებ სინდისის კარნახით საკუთარ გადაწყვეტილებას, — ნათქვამია გიორგი ყარყარაშვილის განცხადებაში.

# სამხედრო ჟურნალისტთა ასოციაცია ვეტერანების აქციის დაშლას აპროტესტებს

სამხედრო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაცია დაუშვებლად მიიჩნევს 2011 წლის 3 იანვარს გმირთა მოედანზე მოშიმშილე ვეტერანების დაშლის ფაქტს.

— ასევე დაუშვებლად მიგვაჩნია ვეტერანთა პრობლემებით სპეკულირება, მით უმეტეს, ისეთი პოლიტიკური ჯგუფისა თუ პოლიტიკოსების მხრიდან, რომლებსაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს ასევე არაფერი გაუკეთებიათ მემკვიდრეობით მიღებული პრობლემების შესამსაბუქებლად, — აცხადებს ასოციაცია და შექმნილ ვითარებაში საჭიროდ მიიჩნევს, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების მიმართ მიდგომის შეცვლა.

როგორც ასოციაციის განცხადებაშია ნათქვამი, ფაქტია, რომ ბოლო წლებში ადგილი ჰქონდა სამხედრო პირების სამსახურიდან დათხოვნას ყოველგვარი კომპენსაციის, მათი გადამზადების, სოციალური ადაპტაციის, ალტერნატიული დასაქმების შეთავაზების გარეშე. თითქმის არაფერი გაკეთებულა იმისათვის, რომ შექმნილიყო სპეციალური პროგრამები, რაც ხელს შეუწყობდა ვეტერანების სოციალიზაციას, მათი შესაძლებლობების სხვა სფეროში - მცირე ბიზნესში, მომსახურების სფეროში თუ აგრარულ სფეროში გამოყენებას.

მოვუწოდებთ ხელისუფლებას: დაიწყოს ფართო დიალოგი, შეიქმნას მუდმივმოქმედი საკონსულტაციო ფორმატი, სადაც პარლამენტის და მთავრობის წევრები ვეტერანებთან და შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, სოციალური პირობების გაუმჯობესების საკითხებზე იმსჯელებენ და შეიმუშავებენ ერთიან პოზიციას.

**მედიანიუსი**

# გია ჭანტურიას საზოგადოებრივი მაუწყებლიდან უშვებენ

**საზოგადოებრივ მაუწყებელს შესაძლოა ახლო მომავალში ახალი ხელმძღვანელი ჰყავდეს. საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა გია ჭანტურიამ შესაძლოა თანამდებობა დატოვოს.**

**გია ჭანტურიამ ამ თანამდებობაზე თამარ კინწურაშვილი შეცვალა. თავის დროზე, ოპოზიციის ნაწილი ჭანტურიას დანიშვნას დიდი ოვაციებით არ შეხვედრია. უფრო მეტიც, თავდაპირველად გია ჭანტურიას თანამდებობაზე დანიშვნა რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ მწვავედ გააპროტესტა, თუმცა, შემდეგ ეს პროტესტი მინელდა.**



ნანა მიშელაშვილი

არაოფიციალურად უკვე სახელდება ორი გვარი, ვინც შეიძლება ტელევიზიის გენერალური დირექტორის სავარძელი დაიკავოს. ერთ-ერთი ინფორმაციით, ტელევიზიის ხელმძღვანელი შესაძლოა ლევან გახელაძე გახდეს, ხოლო მეორე ინფორმაციით — ხათუნა ბერძენიშვილი.

კულუარული ინფორმაციით, მმართველ პარტიაში ხმები ორად არის გაყოფილი: ერთი ნაწილი ლევან გახელაძის კანდიდატურას უჭერს მხარს, ხოლო მეორე — ხათუნა ბერძენიშვილს. ორივე მათგანს ტელევიზიაში მუშაობის გამოცდილება აქვს და ვისზე შეჩერდება არჩევანი, ეს მას შემდეგ გამოჩნდება, როცა გია ჭანტურია თანამდებობას დატოვებს.

ამ ეტაპზე საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის წინააღმდეგ ოპოზიცია არ აქტიურობს. საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი ოპოზიციას ძირითადად საპროტესტო აქციების დროს ახსენდება.

იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციის მიტინგები ისე არ შუქდება, როგორც ეს მათ სურთ, ოპოზიციონერი ლიდერების „რისხვა“ ძირითადად ტელევიზიის შეფის მისამართით გამოითქმის. ასე იყო 9 აპრილის აქციების დროს და ასე მოხდა ბოლო მიტინგის დროს, რომელიც სახალხო კრების ინიციატორებმა გამართეს.

აქციის მონაწილეები ბოლოს ტელევიზიასთან გასულ წელს მივიდნენ. პარლამენტის წინ, სახალხო კრების გამართვის შემდეგ, ეკა ბესელია და კიდევ რამდენიმე ლიდერი აქციის მონაწილეებს პირველი არხისკენ გაუძღვა. მაშინ გია ჭანტურიასთან შეხვედრა გაიმართა და აქციის მონაწილეები მშვიდად დაიშალნენ. ნაციონალური მოძრაობის წევრებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელის გია ჭანტურიას მიმართ პრეტენზიები ღიად არ გამოუთქვამთ. შესაძლოა, გია ჭანტურიას მიმართ კრიტიკა არც გამოითქვას ისე წავიდეს თანამდებობიდან.

ზოგადად, საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობის მიმართ ოპოზიციას პრეტენზიები ხშირად აქვს. ეს ტელევიზია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და არც თუ ისე მცირე თანხებით. ოპოზიციის ძირითადი არგუმენტი ის არის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი მოსახლეობის მიერ გადახდილი თანხებით ფინანსდება და ის ხალხის მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს.

ამდენად, თუ გია ჭანტურია შეიცვალა, ეს ბოლო წლებში პირველი შემთხვევა იქნება, როდესაც ტელევიზიის შეფი თანამდებობას ოპოზიციის მოთხოვნის გარეშე დატოვებს.

# საქართველო სააკაშვილის რეჟიმის გასამართლებისთვის უნდა მოემზადოს

**ჩვენს ხელისუფლებას დემოკრატიულობაზე აქვს პრეტენზია. ქვეყნის პირველი პირები ამტკიცებენ, რომ ხალხს აზრის თავისუფლად ისე გამოხატვა არსად არ შეუძლია, როგორც საქართველოში. ევროპასა და ამერიკაში ამის კიდევ სჯერათ, საქართველოში — ნაკლებად. თუმცა არიან ისეთები, ვისაც ამის სჯერა. ვისაც სჯერა, კარგი იქნება თუ გავატარებთ ან აქციას ჩავატარებინებთ. ამ შემთხვევაში ისინი ნამდვილად ირწმუნებენ, როგორ შეიძლება საქართველოში აზრის გამოხატვა.**

**საქართველოში აზრის გამოხატვა თავისუფლად რომ შეიძლებოდა, ამის ჩვენს ვეტერანებსაც სჯეროდათ. სწორედ ამიტომ მიმართეს მათ პროტესტის უკიდურეს ფორმას — შიმშილობას. ამ აქციის შესახებ მათ თბილისის მერიაც გააფრთხილეს და პროტესტის გამოხატვა სანქცირებულად სცადეს. შიმშილობდნენ და სჯეროდათ, რომ ხელისუფლების ყურადღებას მიიპყრობდნენ.**

თეა მარხვაი ე

ხელისუფლებას მათთვის არ ეცალა. ისე, ორივე მხარისთვის უმჯობესი იქნებოდა, არ მოეცალა. ვეტერანები დღეს აპირებდნენ აქციის შეწყვეტას. ხელისუფლება ამ თავის ტკივილს უპრობლემოდ მოიცილებდა. სამწუხაროდ, დაღუპულთა მემორიალთან, სადაც ვეტერანები შიმშილობდნენ, საქართველოს პრეზიდენტმა ჩამოიარა. ბოჩელის სიმღერით დამტკბარ პრეზიდენტს აქციის დანახვა არ მოეწონა. ოპოზიციის მტკიცებით, სწორედ მან გასცა აქციის დარბევის განკარგულება. საინტერესოა ის დეტალი, რომ აქციის დარბევა პრეზიდენტის ესკორტის ჩავლიდან ნახევარ საათში დაიწყო.

ამ ინფორმაციას, ბუნებრივია, ხელისუფლება არ ადასტურებს. ისინი არც დარბევას აღიარებენ. პირიქით, ამტკიცებენ, რომ აქციის მონაწილეებმა პოლიციას ცემა დაუწყეს. ამ შეხლა-შემოხლის კადრები გადაღებულია, სადაც კარგად ჩანს, ვინ ვის და თანაც როგორი გამეტებით ურტყამს.

ოპოზიციას და არასამთავრობო ორგანიზაციებს ხელისუფლების წინააღმდეგ სასაუბროდ სერიოზული არგუმენტი გაუჩნდათ. 3 იანვრის დარბევასთან დაკავშირებით არასამთავრობოებმა და პოლიტიკოსებმა უკვე მიმართეს საერთაშორისო თანამეგობრობას. მათი განმარტებით, მათი მიმართვა აუცილებლად გამოიღებს შედეგს. მათ სჯერათ, რომ 3 იანვრის დარბევის გამო ჩვენს ხელისუფლებას პასუხისგება მოუწევს.

თავისუფალი საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი კახა კუკავა საზოგადოებას ჰპირდება, რომ იწყებს მზადებას სააკაშვილის რეჟიმის დამნაშავეთა გასამართლებისათვის. მისი თქმით, სააკაშვილის რეჟიმი ამდენს არ გაბედავდა, მისთვის თავის დროზე პასუხი რომ მოეთხოვათ.

— ჩვენი მოძრაობა, ისე როგორც მთელი საქართველო, თანადგომას უცხადებდა მოშიმშილე ვეტერანებს, რომლებიც 3 იანვარს ბარბაროსულად დაარბიეს თბილისის საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა. ვფიქრობთ, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რის გამოც ხელისუფლება და სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმი ბედავს ასეთი ცინიზმით მოქმედებას, არის ჩვენი ლოიალობა იმ პირთა მიმართ, რომლებმაც წარსულში, 7 ნოემბრიდან მოყოლებული, არაერთხელ ჩაიდინეს მსგავსი დანაშაული, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კახა კუკავამ.

თავისუფალი საქართველოს ლიდერი მხარდაჭერისთვის საერთაშორისო თანამეგობრობასაც მიმართავს.

საერთაშორისო თანამეგობრობა ძალიან მკვეთრად რეაგირებს. ევროპელებს ნერვები განსაკუთრებით ლუკაშენკოზე ეშლებათ ხოლმე, რომელსაც ადრე ჩვენი ხელისუფლებაც იწუნებდა. ახლა კი ჩვენებურები მზად არიან ლუკაშენკოდემოკრატიის ჭრაქად გამოაცხადონ.

კახა კუკავა ითხოვს, რომ ევროპამ ქართველ ძალოვანებსაც იგივე სანქციები დაუწესოს, რაც ბელორუსიელებს.

— პირველ რიგში, ჩვენ თხოვნით მივმართავთ საერთაშორისო საზოგადოებას, განახორციელოს იგივე სანქციები ზემოთ აღნიშნულ პირთა მიმართ, რაც განხორციელდა თუნდაც ბელარუსში ბოლოდროინდელი დარბევების ორგანიზატორთა მიმართ — შეიზღუდოს მათი გადაადგილება საქართველოს ტერიტორიის გარეთ და აეკრძალოთ ნებისმიერი ფინანსური აქტივობა დემოკრატიული ქვეყნების ტერიტორიაზე, — ამბობს თავისუფალი საქართველოს ლიდერი.

კახა კუკავა მხარდაჭერას ოპოზიციას და საზოგადოებასაც სთხოვს. მისი თქმით, სააკაშვილის რეჟიმის ლუსტრირების პროცესში ყველა უნდა ჩაერთოს.

— გამოვდივართ ინიციატივით და მივმართავთ ყველა პოლიტიკურ პარტიას, დღეიდან დავიწყოთ სააკაშვილის რეჟიმის ლუსტრაცია, რაც გულისხმობს ერთი მხრივ წერილობითი შეთანხმების ხელმოწერას, რომ რეჟიმის შეცვლის შემდეგ, მიუხედავად ხანდაზმულობის ვადებისა, გასამართლებული იქნება ყველა მაღალი თუ დაბალი თანამდებობის პირი, რომელიც მონაწილეობდა სხვადასხვა დარბევებში, არჩევნების გაყალბებასა თუ სხვა დანაშაულებებში; მეორე მხრივ, წინასწარ უნდა იქნეს აღრიცხული და გამოქვეყნებული იმ პირთა ნუსხა, რომელთაც რეჟიმის დასრულების შემდეგ წარედგინებათ კონკრეტული სისხლის სამართლის ბრალდებები, — აღნიშნა კუკავამ.

კუკავამ ამ ნუსხის პირველი ნომერიც დაასახელა და ის ოფიციალურადაც გააფრთხილა.

— ერთ-ერთი პირველი გვარი, რომელიც იქნება შეტანილი ამ ნუსხაში, გახდება ოთარ გვენეტაძე, პოლიციის თანამშრომელი, რომელმაც ჯერ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ერთ-ერთი მოშიმშილის მეუღლეს, ხოლო შემდეგ, ნაცვლად ბოდიშის მოხდისა, დაემუქრა აქციის კიდევ ერთ მონაწლეს. საჯაროდ მივმართავ ოთარ გვენეტაძეს, რომ სააკაშვილის გადადგომის მეორე დღესვე მას წარედგინება ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის თანახმად (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) და შესაბამის სასჯელს განსაზღვრავს სასამართლო. ანალოგიური დევნის ობიექტი უნდა გახდეს ყველა ის ადამიანი, რომელიც დღეს არსებული სააკაშვილის ნაცისტური რეჟიმის პირობებში ჩადიოდა და სჩადის დანაშაულებს საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ, — მიიჩნევს კახა კუკავა.



## კუკავა აქციების დამრბევთა ლუსტრირებას ითხოვს

3 იანვრის დარბევასთან დაკავშირებით გუშინ რამდენიმე საგანგებო განცხადება გაკეთდა. საგანგებო განცხადება გაავრცელა ქართულმა პარტიამაც. ამ პარტიის ერთ-ერთ წევრს, ეკა მათიაშვილს, აქციის დარბევის დროს პოლიციელმა სცემა.

ამ ინციდენტის გამოძიებას ქართული პარტია რესპუბლიკის მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავასგან ითხოვს.

— ჩვენ არ შევეგუებით ძალადობას, მით უმეტეს, ასეთი ცინიკური და დემონსტრაციული ფორმით, როგორიც მშვიდობიანი აქციის მონაწილეებისა და ქალის დარბევისას რამდენიმე დღის წინ გამოვლინდა. ჩვენ შევიტანეთ სარჩელი და მოვითხოვთ, რომ პირი, რომელმაც ხელი დაარტყა ქალს, დაისაჯოს, — აღნიშნა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კოკა გუნცაძემ.

გუნცაძის თქმით, ქართული პარტია იწყებს კამპანიას პოლიციის ე.წ. ზონდერ ჯგუფების წინააღმდეგ და ეს კამპანია არ დასრულდება მანამ, სანამ ქვეყანაში არ იქნება ადამიანების თავისუფლად ცხოვრების გარანტიები.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ქართული პარტიის იურისტმა ალექსანდრა ობოლაძემ აღნიშნა, სარჩელს, რომელიც პროკურატურაში შეიტანეს, თან ახლავს 3 იანვარს მომხდარი ინციდენტის ამსახველი დოკუმენტური მასალა, რომლის მეშვეობითაც პროკურატურა დამნაშავეს ადვილად დაადგენს.

ზონდერების წინააღმდეგ კამპანია ოპოზიციურმა პარტიებმა გასულ წელსაც აწარმოეს. შარშან პარლამენტის შენობის წინ რამდენიმეთვიანი აქცია გაიმართა. ეს აქცია ხელისუფლებას ოფიციალურად არ დაურბევია. სამაგიეროდ, ზონდერები აქტიურობდნენ. ისინი აქციის მონაწილეებს იტაცებდნენ და საშინლად სცემდნენ.

ზონდერების სახელს უკავშირდება აქციების დროს 300 ტაქსისტის აქციაც, რომელიც ვითომ ტაქსისტებმა მოაწყვეს. მერე გაირკვა, რომ ეს აქცია არა ტაქსისტებმა, არამედ ზონდერებმა მოაწყვეს. ეს ზონდერები, რა თქმა უნდა, სახელისუფლებო სტრუქტურებში იყვნენ დასაქმებული.

ოპოზიციამ ზონდერებისთვის სურათების გადაღება მოახერხა. მათ ეს სურათები გააკრეს ქუჩებში და წააწერეს „საქართველო უნდა იცნობდეს თავის ჯალათებს“. რიგი მიზეზების გამო ეს ჩვენს ოპოზიციას დაავიწყდა. 3 იანვრის ინციდენტის შემდეგ კი ეს თემა ისევ აქტუალური გახდა.

ამ პროცესში ჩაბმას არასამთავრობოებიც აპირებენ. არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ საზოგადოებასაც გააქტიურებისკენ მოუწოდებენ. ამასთან დაკავშირებით ნანა კაკაბაძემ საგანგებო განაცხადება გაავრცელა.

— 2011 წლის 3 იანვარს გმირთა მოედანზე გამართული აქციის (შიმშილობის) მონაწილე ვეტერანი მეომრების დარბევისა და მათი ნაწილის დაკავების დროს ე. წ. სამართალდამცველების მხრიდან დარღვეულ იქნა საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული აზრის გამოხატვისა და თავისუფალი შეკრების უფლება. მოშიმშილეები თავის პოზიციას გამოხატავდნენ კანონის სრული დაცვით, არაძალადობრივი მეთოდებით და ცდილობდნენ ხელისუფლების ყურადღება მიეპყროთ საკუთარი უმძიმესი სოციალური პრობლემებისადმი. ამ მიზნით მათ შიმშილობის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე (2010 წლის 24 დეკემბერს) ქალაქის მერიას მოსალოდნელი აქციის დაწყების თაობაზე შეტყობინებაც კი გაუგზავნეს (რის აუცილებლობასაც კანონი არ ითვალისწინებდა), საიდანაც მიიღეს 3-გვერდიანი წერილი იმის თაობაზე, რომ შეტყობინება მიღებულია და 2011 წლის 7 ნოემბრამდე დაგეგმილი მათი აქცია სავსებით ლეგიტიმური იქნება, თუ ისინი არ დაარღვევენ კანონის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ მოშიმშილეები და მათი გულშემატკივრები კანონის სრული დაცვით აგრძელებდნენ აქციას, მათ მიმართ 3 იანვარს გამოყენებულ იქნა ძალისმიერი მეთოდები და 11 პირი ჯერ დაკავებულ იქნა, ხოლო შემდეგ ხელისუფლების ნების აღმსრულებელმა სასამართლომ ყველა მათგანი ცნო კანონდამრღვევად და შეუფარდა 400-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმები. რაც მთავარია, მოსამართლემ კატეგორიული უარი განაცხადა დარბევის კადრების ამსახველი ვიდეოფირის მტკიცებულების სახით დართვასა და მის გამოკვლევაზე, რადგან სწორედ ეს კადრები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ აქციის მონაწილეთა მხრიდან არავითარ „წვრილმან ხულიგნობას“ და „პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას“ ადგილი არ ჰქონია, რასაც მათ აბრალებდნენ სამართალდამცველთა ფორმაში ჩაცმული სამართალდამრღვევები, — აღნიშნავს ნანა კაკაბაძე..

კაკაბაძე მოუწოდებს ყველა უფლებადამცველს და კეთილი ნების ადამიანს, რათა ხმა აიმაღლონ საქართველოს ანტიდემოკრატიული რეჟიმის ქმედებების წინააღმდეგ.

---

# ვეტერანების დარბევა ამერიკის ელჩმაც დაგმო

## ადვოკატები შსს-ს ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებენ

თეა მარხვაი ე

**პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ ვეტერანების დარბევასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებაც კი არ ისურვა. კომენტარის გაკეთებისგან თავი აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ გია ბარამიამაც შეიკავა. ეს ის გია ბარამიაა, რომელიც ახალი წლის წინ ერთ-ერთ ვეტერანს ესტუმრა და მის დიდ ღვაწლზე ისაუბრა. სამაგიეროდ, იმავე ბარამიას გმირთა მოედანზე მოშიმშილე ვეტერანების მონახულება არც კი მოუსურვებია.**



კომენტარების გაკეთებაზე თავი არც ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს შეუწუხებიათ. გამონაკლისი ნუგზარ წიკლაურია. თუმცა, იმას, ჯობდა, საერთოდ არ გაეკეთებინა კომენტარი. კომენტარების გაკეთების სურვილმა შეიძლება ჩვენს ხელისუფლებას ახლა შეულიტინოს. ეს ამერიკის ელჩის ჯონ ბასის დამსახურება იქნება.

ამერიკის ელჩმა ჩვენს ხელისუფლებას 3 იანვარს აქციის დარბევა დაუგმო. მან ეს განცხადება ჩვილ ბავშვთა სახლში სტუმრობისას გააკეთა. ჩვილ ბავშვთა სახლს ამერიკის ელჩი გუშინ ესტუმრა.

ჯონ ბასის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ ჩვენი ოპოზიცია ძალიან კარგ ხასიათზე დააყენა. მისი განცხადებით, ის, რაც 3 იანვარს მოხდა, დემოკრატიულ ქვეყანაში არ უნდა ხდებოდეს.

— მინდა, გამოვეხმაურო გმირთა მოედანზე მომხდარ იმ მოვლენებს, რომელთაც 2-3 დღის განმავლობაში ვადევნებდით თვალყურს. შეშფოთებული ვარ, რომ პოლიციამ პროტესტის გამომხატველთა მიმართ ძალა გამოიყენა. რა თქმა უნდა, ძალადობა არ უნდა იყოს გამოყენებული პროტესტის გამომხატველი ადამიანების წინააღმდეგ. ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს დემოკრატიულ ქვეყანაში, — განაცხადა ამერიკის ელჩმა.

ბასი კმაყოფილია სახალხო დამცველის პოზიციით. სახალხო დამცველმა ვეტერანების დარბევასთან დაკავშირებით განცხადება 2 დღის წინ გააკეთა. ელჩი იმედოვნებს, რომ ხელისუფლება მომხდარზე მოკვლევას ჩაატარებს.

— მოხარული ვარ, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა განცხადება გაავრცელა და მომხდარი ადეკვატურად შეაფასა. იმედი მაქვს, ჩატარდება მოკვლევა და განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა არსებულ ვიდეომასალას, — განაცხადა ჯონ ბასმა.

საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსი დაინტერესდა, რა შეფასებას აძლევდა ელჩი სასამართლოს გადაწყვეტილებას. დარბეულ, ნაცემ და დაკავებულ ვეტერანებს სასამართლომ 400-ლარიანი ჯარიმა დააკისრა. ჯონ ბასმა სასამართლოს გადაწყვეტილების კომენტირება არ ისურვა.

— სასამართლოს გადაწყვეტილების განხილვას არ ვაპირებ, რადგან ამ საკითხს საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს. ამაზე უფრო კომპეტენტურ პასუხს ომბუდსმენისგან მოვისმენთ. რაც შეეხება ფაქტს, უნდა ითქვას და განისაზღვროს, თუ როგორ, სად და რა ფორმით შეიძლება, პროტესტი გამოიხატოს. მაგალითად, აშშ-ში არსებობს თავშეყრის, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნებისმიერ ადგილას შეიძლება შეკრება და პროტესტის გამოხატვა. ჩვენთან მონუმენტებთან, ომში დაღუპულთა მონუმენტებთან მკვეთრად ლიმიტირებულია პროტესტის გამოხატვა. ვფიქრობ, საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს, თუ სად, როგორ და რა ფორმით შეიძლება შეკრება და პროტესტის გამოხატვა — გმირთა მოედანთან დაკავშირებით უნდა განისაზღვროს, შეიძლება თუ არა ასეთი ფორმით პროტესტის გამოხატვა. აქ ორი საკითხია: უნდა ჩატარდეს ობიექტური გამოძიება, რადგან, სავარაუდოდ, პოლიციის მხრიდან ძალადობას ჰქონდა ადგილი, მეორე მხრივ კი საზოგადოებამ უნდა იცოდეს, სად და რა ფორმით შეიძლება შეკრება, — განუცხადა სააგენტოს ჯონ ბასმა.

აშშ-ის ელჩის განცხადებამ ოპოზიციასთან ერთად ვეტერანების ადვოკატებიც გაახარა. ამის მიუხედავად, ისინი მაინც უკმაყოფილონი არიან. უკმაყოფილებას ისინი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის გამო გამოხატავენ.

აღნიშნული ინფორმაცია მშობლიურმა შსს-მ 4 იანვარს გაავრცელა, სადაც იმაზეა საუბარი, როგორ ეჩხუბებოდნენ ნასვამი ვეტერანები სამართალდამცავებს, რომლებიც, შსს-ს ინფორმაციით, მათ დაშლისკენ მოუწოდებდნენ.

შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას სიცრუე უწოდა ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა. გელა ნიკოლაიშვილი 3 იანვარს დარბეულ-დაკავებული ვეტერანების უფლებებს იცავდა.

— სიცრუეა შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ვეტერანებმა აღიარეს დანაშაული და დაკავებულებიდან ორი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, — განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

ნიკოლაიშვილი სასამართლოს გამოტანილი განაჩენითაც უკმაყოფილოა. სასამართლომ ვეტერანებს ფულადი ჯარიმა დააკისრა.

მისი განცხადებით, ადვოკატები ვეტერანების საქმის გასაჩივრებას სააპელაციო სასამართლოში აპირებენ. მოგვიანებით ისინი სტრასბურგის სასამართლომდე აპირებენ მისვლას.

— დარწმუნებული ვარ, სტრასბურგის სასამართლო სამართლიანი სასამართლოსა და გამოხატვის თავისუფლების მუხლების დარღვევას დაადგენს და საქართველოს ხელისუფლებას იმაზე ასჯერ მეტი თანხის გადახდას დააკისრებს, რაც მან ვეტერანებს დააკისრა, — ამბობს ნიკოლაიშვილი.

ოპოზიცია კი დარწმუნებულია, რომ ჯონ ბასის მსგავს განცხადებებს სხვა ელჩებიც გააკეთებენ.

# ბურჯანაძესა და გაჩეჩილაძეს შორის ომი ატყდა

შორენა კოწოწაშვილი



## ინტერვიუ მამუკა გიორგაძესთან

***— ბატონო მამუკა, რამდენად მძიმე შედეგები დადო გასულ წელს ოპოზიციურ ფლანგზე წარმოებულმა ბრძოლამ და, საერთოდ, რა ვითარება შეიქმნა პოლიტიკური თვალსაზრისით ქვეყანაში?***

— გასულმა წელმა პირდაპირ აჩვენა არსებული ვითარება ყოველგვარი შელამაზების გარეშე: რომ საქართველოს ხელისუფლება არის ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართველი ხალხის და, საერთოდ, საქართველოს მოსახლეობის აშკარა მტერი, რომლის მთელი შესაძლებლობები მიმართულია იქით, რომ ამ ქვეყანაში არ აშენდეს სახელმწიფო და რომ მისი მოქალაქეები სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტს განიცდიდნენ და, საერთოდ, ფიზიკური არსებობის ზღვარზე იდგნენ. ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის არის სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური გენოციდის მომწყობი ქართველი ერისა. დადასტურდა აგრეთვე მეორე: სამწუხაროდ, ოპოზიციურ ფლანგზე, პრაქტიკულად, იმ ჯგუფებში, რომელიც საზოგადოებაში ჩანან ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ტელევიზიის საშვალებით აპიარებენ მათ ქმედებებს, პრაქტიკულად, არაფრით არ განსხვავდება ხელისუფლებისაგან. ისინიც შორს არიან ქართველი ერის ინტერესების დაცვისგან. დადასტურდა, რომ ჯერჯერობით ქართველი ხალხის ინტერესების დამცველი სერიოზული ორგანიზებული ძალა პრაქტიკულად არ არის წარმოდგენილი.

***— როგორც ჩანს, ამაზე პრეტენზიას ის 8 პოლიტიკური ძალა აცხადებს, რომელიც ხელისუფლებასთან საარჩევნო გარემოზე საუბრობს.***

— ბევრი აცხადებს ასეთზე პრეტენზიას, მაგრამ ყველაფერი ხდება პრაქტიკულად ხელისუფლების ხელშეწყობით. ხელისუფლება ირჩევს იმ პიროვნებებსა და ჯგუფებს, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა, ასეთი დამაჯერებელი ტონით განუცხადონ ეს ქართველ ხალხს. ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, ბრმას არ უთხრათ, ცოლი რომ მოუკვდა, ღამე რომ არ მიუწვება, ხომ მიხვდებაო. ზუსტად ასეა ჩვენი საქმე. თუ რომელიმე ასეთი ძლიერი ძალა არსებობს ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, ეს უნდა აისახებოდეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. პრაქტიკულად, არც ერთი პოლიტიკური ჯგუფი ვერანაირ ზემოქმედებას ვერ ახდენს პოლიტიკური ვითარების შეცვლაზე. და კიდევ უფრო მეტი: თავიანთი მოქმედებით ასრულებენ ამ ხელისუფლების სასწრაფო დახმარების ფუნქციას და ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაში პრაქტიკულად ხელს უწყობენ, რომ არ გამოჩნდეს ამ ხელისუფლებასთან რეალურად მებრძოლი ჯგუფი; რომ არ გამოჩნდეს ამ ხელისუფლების დანაშაულებრივი მოქმედებები და რომ ხელისუფლებას ჰქონდეს საშუალება მოსახლეობასთან აპელირებისა — შეიძლება ცუდი ვარ, მაგრამ სხვა დანარჩენს ხომ ვჯობივარ. ამაში ხელისუფლებას აშკარად ემსახურება ეს ოპოზიციური სპექტრი და ზუსტად იმ კონკრეტულ დღეს, კონკრეტულ ვითარებაში უკეთებს იმ საქმეს, რომელიც ხელისუფლებას სჭირდება. სამაგიეროდ, ხელისუფლება დანარჩენ პერიოდში აძლევს საშუალებას ამ პოლიტიკურ ჯგუფებსა და პიროვნებებს, თავი წარმოაჩინონ, როგორც წარმატებულმა, ყოვლისშემძლე, ინტელექტუალურმა და სერიოზულმა პოლიტიკურმა ლიდერებმა. შემდგომ ამ დაგროვილ ხალხის ნდობას კვლავ ხელისუფლების სასარგებლოდ იყენებენ. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დღეს ესეც ძნელი სათქმელია. სამწუხაროდ, დღევანდელი ვითარება სხვა დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა.

***— რას იტყვით კომპრომატების ომზე, რომელიც ბურჯანაძე-გაჩეჩილაძესთან მიმართებით აგორდა? რაზე მიანიშნებს 15 მილიონზე საუბარი, საადგილმამულო ბანკზე და ა.შ.?***

— აი, ეს მოვლენა ზუსტად იძლევა შეფასებების გაკეთების საშუალებას. პრაქტიკულად, ყველა ის ჯგუფი, რომელიც დღეს წარმოდგენილია საზოგადოებაში, უფრო სწორად, რომელსაც სახელისუფლებო ტელევიზიები აპიარებენ, მხოლოდდამხოლოდ დაკავებულია პოლიტიკური ბიზნესით და არა პოლიტიკური ბრძოლით. ამ ხალხს პრაქტიკულად ატროფირებული აქვს ისეთი გრძნობები, როგორიც არის სამშობლო, პასუხისმგებლობა, მოვალეობა და ქვეყნისთვის თავდადება. მათთვის ეს არის ჩვეულებრივი ბიზნესი. უბედურება ის არის, რომ ზნეობა და ჯიგარი არ ჰყოფნით. ეს ერთი უბედურებაა, მაგრამ, ტვინიც არ ჰყოფნით, რომ ერთმანეთზე ყვებიან ისეთ ისტორიებს, რომლებშიც თვითონაც ძალიან უარყოფითი კუთხით გამოდიან. თვითონ ის ფაქტი, რაც, დაუშვათ, ბადრი ბიწაძემ ისაუბრა გაჩეჩილაძეზე, გაჩეჩილაძემ ბიწაძესა და ბურჯანაძეზე, ბურჯანაძემ ქართულ პარტიაზე და ქართულმა პარტიამ — სხვებზე, ნათლად მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ თითოეული ეს ჯგუფი ჩართულია იმ სიბინძურეში, რითაც დღეს ცხოვრობს ე.წ. ქართული პოლიტიკური ბომონდი. პრაქტიკულად თვითონ ჩაუშვეს თავისი თავი. მიკვირს, რომ ტვინიც არ ჰყოფნით, აღარაფერს ვამბობ ზნეობასა და სხვა ღირსებებზე. საკუთარი თავი წარმოიდგინოს იგივე ბიწაძემ, როცა საუბრობს იმ თემაზე, რომ თვიონ იჯდა სადღაც მოფარებულში და ისმენდა ამ საუბარს, ან იმ დროს, როდესაც ამბობს, რომ პუტინისგან ბურჯანაძე ფულს იღებდა. ამაზე გაგიჟდნენ ქართული პარტიის წარმომადგენლებიო, ან იმ თემაზე, როცა აცხადებდნენ, რომ სახალხო კრება — ეს არის რაღაც ზეპარტიული ორგანიზაცია და ქვეყნის გადამრჩენი და თვითონ სადღაც სარდაფში ზის და ევაჭრება მეორე ადამიანს, ოღონდაც კრებაში შემოდი და შენ ამდენს მიიღებო. თუნდაც რომ არ ევაჭრებოდეს, როდესაც ასეთი საუბარი იმართება კრებაში შესვლასთან დაკავშირებით, ელემენტარულად, ეს ხომ ნათლად მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ კრება, რომელიც ასე გააპიარეს, რომ ეს არის ქვეყნის გადამრჩენელი, რომ ეს სინამდვილეში არის კონკრეტული პიროვნებების მომსახურების საზოგადოებრივი ჯგუფი და მეტი არაფერი. მე, უბრალოდ, გამკვირვებია იმ ადამიანების, რომლებიც შემდეგ გაებუტნენ კრებას და თქვეს, რომ მე ვაჩერებ ჩემს წევრობას. არ იცოდით, სად შედიოდით?!

***— ეროვნულ ფორუმს გულისხმობთ?***

— ყველას ვგულისხმობ. ელემენტარულად, ასეთი მოქმედებებით ხომ თავის თავს შიფრავენ. რა გამოდის, ბურჯანაძეს გაჩეჩილაძესთან ომი აქვს ატეხილი და რა შუაშია კრებიდან გასვლა, თუ შენ თავიდანვე სხვა ინტერესებით არ იყავი კრებაში მისული. აიღეთ თუნდაც ოქრუაშვილის განცხადებები, ან თუნდაც ლევან გაჩეჩილაძის, რომელმაც პრაქტიკულად ყველა ეს შეხვედრა დაადასტურა. ფული აიღო თუ არ აიღო, ეს მეასეხარისხოვანია. მთავარია, პოლიტიკურ ცხოვრებას როგორ უყურებენ და ქვეყნის ინტერესებს, როგორ უყურებენ ხალხს? გამოდის, მათთვის ხალხი არის ინსტრუმენტი.

***— რადიკალურ ფლანგზე ლიდერობისთვის ატყდა ეს კომპრომატების ომიო. იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

— არა. ამის მიზეზი არის ის, თუ ვინ მოაწონებს თავს რუსეთს, რომ ხვალ, დღეს კი არა, როცა დაიწყება სააკაშვილის ჩანაცვლების სპექტაკლი, თითოეულმა ამ პიროვნებამ მიიღოს შესაბამისი მთავარი როლი ოფიციალური დაფინანსებით.

***— ღიად ჩანს, რომ საქართველოში პოლიტიკური პროცესების მაესტრო რუსეთია?***

— ეს ყველაფერი გასულ წელს პრაქტიკულად დადასტურდა. დადასტურდა, რომ რუსეთის ფავორიტი არის სააკაშვილი. ის ყველანაირად ცდილობს, შეინარჩუნოს სააკაშვილი იმ მხრივაც, რომ სააკაშვილის ოპოზიციას უკეთებს ორგანიზებას და ისეთ ნაბიჯებს ადგმევინებს, რომელიც სჭირდება რუსეთის სტრატეგიული ინტერესების განხორციელებას საქრთველოში. ყველა იმ პარტიამ, რომელიც ბაქიბუქობს, მუშტებს უღერებს ხელისუფლებას და გვიმტკიცებს, რომ ყველაზე ძლიერია, კეთილი უნდა ინებოს და ან გააკეთოს საქმე, ანდა, უკაცრავად, თავი დაანებოს ამ ხალხის გაბიაბრუებას, შესაბამისად — თამაშის თამაშს. თუ არ გაქვს თავგანწირვის შინაგანი რესურსი, რომ ებრძოლო სისტემას და გადაარჩინო საქართველო, ნუ ატყუებ ხალხს, თუ არადა, ცოტა დაიჩუტე, რა! ნორმალურ პიროვნებას თუ ჯგუფს მიეცი საშუალება, საქმე გააკეთოს, რატომ ულობავ მას გზას?

***— ბადრი ბიწაძის სკანდალურ განცხადებებში ხელისუფლების ინტერესები გამოიკვეთა?***

— ხელისუფლების ინტერესები ამ შემთხვევაში არის რუსეთიდან მართული, რომელმაც თავის სატელიტებს ოპოზიციის ფლანგზე ასეთი მითითებები მისცა. შეიძლება, სრულებითაც არ იყვნენ სააკაშვილი, გაჩეჩილაძე, ბურჯანაძე და მერაბიშვილი ერთმანეთთან კავშირში, მაგრამ იქ არის კოორდინატორი, რომელიც ამ მარიონეტებს სხვადახვა მიმართულებით ამოძრავებს. შესაბამისად, ვინ ვის უკან დგას, ნაკლებ საინტერესოა. საინტერესოა მთლიანი პროცესი. სანამ ეროვნული და თავგანწირული პოლიტიკური ლიდერი არ გამოჩნდება, მანამდე აქვთ დასავლეთსა და რუსეთს საშუალება, ცვალონ აქ ხელისუფლება თავიანთი ინტერესებისამებრ. ჩამოაცილეთ ეს ოპოზიცია სააკაშვილს და ეს ხელისუფლება მეორე დღესვე დაემხობა.

***— ოპოზიციის ნაწილი ხელისუფლებაში ორ დაჯგუფებას გამოკვეთს და მიანიშნებენ, რომ იგივე უგულავა წინასაარჩევნო კამპანიის რეჟიმშია. ასეთ ვითარებაში, როგორ ფიქრობთ, ვის გვერდით აღმოჩნდება სააკაშვილის ხელისუფლების ხერხემალი, ვანო მერაბიშვილი?***

— ეს პროცესი თავიდან ბოლომდე არის რუსეთიდან მართული. ამ ხალხს დამოუკიდებლად ფუნქციონირებს შნო რომ ჰქონდეს, მაშინ ქვეყანა ასე დაქცეული ხომ არ იქნებოდა? მერაბიშვილს, სააკაშვილს, ბურჯანაძეს, გაჩეჩილაძესა და სხვებს თავისუფლების ხარისხი რომ ჰქონდეთ ისეთი, რომ შეეძლოთ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება, ასეთ სავალალო მდგომარეობაში ქვეყანა არ იქნებოდა. მთელი უბედურება ის არის, რომ ეს ადამიანები მარიონეტები არიან. მათი ენერგია იხარჯება იმაზე, რომ მათ პატრონმა მთავარი როლი უბოძოს.



თავხედმა ბურჯანა ემ გაბედა, ისე წარმოეჩინა, თითქოს ხსნა ჩამოიტანა რუსეთიდან

***— ოპოზიციაში მიანიშნებენ, რომ კომპრომატების ომი გაგრძელდება. ეს ხელისუფლების ინიციატივით მოხდება თუ ოპოზიცია დაძირავს ერთმანეთს?***

— ხელისუფლებაში შიდა კლანური დაპირისპირება დიდი ხანია მიმდინარეობს. ეს ბუნებრივი პროცესია ამ სისტემაში. ამ პარტიებს არ შეუძლიათ, პოზიტივზე ააგონ თავიანთი მოქმედება. არც ერთ პარტიას არ წარმოუდგენია ქვეყნის განვითარების ის მოდელი, რომლის გამოც იბრძვიან. პრაქტიკულად, მათ არ აქვთ პროგრამა და არ იციან, რა უნდა გააკეთონ. უბრალოდ, მათ აქვთ ხელისუფლებაში მოსვლის ცხოველური ჟინი. რაც შეეხება კომპრომატებს, ეს ზღვა მასალაა, იმიტომ რომ თუნდაც ბოლო ამ სამი წლის განმავლობაში თითოეულმა მათგანმა იმდენი არასწორი, შეგნებული თუ შეუგნებელი ნაბიჯი გადადგა, თავისუფლად არის შესაძლებელი ამის მათივე წინააღმდეგ გამოყენება. როგორ გგონიათ, ამ აქციების მოწყობის, პარტიების ოფისების, ლიდერების საზღვარგარეთ ვიზიტებისთვის ფული საიდან მოდიოდა? ვინც ფულს იძლეოდა, ის, უმეტეს შემთხვევაში, დოკუმენტსაც ხომ ინახავდა ამ ფულის მიმოქცევისა. ასე რომ, მარტივად შეიძლება ამის გამოყენება, რადგან დოკუმენტები არსებობს.

***— ანუ როგორ ყიდულობდნენ ოპოზიციას, ამისი დოკუმენტები არსებობს?***

— რა თქმა უნდა. თუნდაც სამი წლის მანძილზე ჩატარებულ აქციებზე დახარჯული ფულის რაოდენობა სრულიად საკმარისი იმისთვის, რომ თითოეულ პარტიაზე დაიდოს ძალიან დიდი მასალა, მით უმეტეს, რომ ამ დახარჯულ ფულს მოსახლეობისთვის არანაირი შედეგი არ მოუტანია. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი თეთრი, ამ პარტიებისთვის მიცემული, რომელმაც შედეგი არ მოიტანა, უკვე კომპრომატია. ამ თანხების დამადასტურებელი დოკუმენტი ხომ სადღაც დევს, ეს დოკუმენტები აუცილებლად წინა პლანზე წამოვა სწორედ იმის გამო, რომ თითოეული პარტია პოზიტივს ვერ სთავზობს. ვერც ერთმა პარტიამ ვერ შესთავაზა ხალხს, რომ მათი მოსვლა ხელისუფლებაში იქნება ქვეყნისთვის დადებითი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ოცი წელია იმიტომ გვებრძვის რუსეთი, რომ კონფედერაციაზე წავიდეთ. თავის დროზე გრაჩოვი გამოვიდა და გვითხრა: ნებისმიერი ფორმა მოითათბირეთ, მე ვიქნები გარანტი, ფედერალიზმი ან კონფედერაცია. ოცი წელიწადია რუსეთის ეს გეგმა რომ არ განხორციელდეს, ამის გამო ღვრის სისხლს ქართველი კაცი და თავხედმა ბურჯანაძემ გაბედა, რომ ეს წარმოეჩინა ისე, თითქოს ხსნა ჩამოიტანა რუსეთიდან. სწორედ ამის გამო სჭირდება მას კომპრომატები. იცის, რომ ამ თემაზე თუ წავა საუბარი, თვითონ გაბითურდება. იცის, რომ ელემენტარულად აგენტის იარლიყიც კი არასაკმარისია მსგავსი თემების გამჟღერებლის მიმართ.

***— რუსეთში ვიზიტები ბურჯანაძეს, როგორც პოლიტიკოსს, ჩაკლავს?***

— ის, რაც მან განაცხადა, ნორმალურ საზოგადოებაში სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მას პოლიტიკურ ცხოვრებაში ადგილი აღარ ჰქონდეს. უბედურება ის არის, რომ ბურჯანაძემ გაბედა და ეს ღიად თქვა. სხვათა შორის, თავის დროზე გაბედეს და ეს თქვეს რესპუბლიკელებმა. დანარჩენები ამას ვერ ბედავენ, მაგრამ იმავე თემებზე საუბრობენ რუსეთის სხვადასხვა სპეცსამსახურებთან. სწორედ აქ არის მთავარი პრობლემა, რომ დღეს ქართული პოლიტიკური ვითარება რაც არის, ეს არ არის ჩვენი შიდა დუღილის პროდუქტი. ეს არის გარედან მართული პროცესი. ამიტომ, ჩვენი და ყველა ჯანსაღი პატრიოტი ქართველის ამოცანაა, გარედან მართული ქართული პოლიტიკა ვაქციოთ შიდა დუღილის პროდუქტად, თუნდაც შეცდომებით, თუნდაც არასწორი ნაბიჯებით, მაგრამ მაინც უნდა ვაქციოთ დამოუკიდებელი შიდა დუღილის პროდუქტად, იმიტომ რომ, ის მთავარი თემა, რაც ბურჯანაძემ განაცხადა და უფრო ადრე რესპუბლიკელებმა თქვეს, გადაიფაროს ამ კომპრომატების ომით.

### ვეტერანთა აქციის დაშლაში მონაწილე ერთ-ერთი სამართალდამცველი თანამდებობიდან დაითხოვეს

შს სამინისტროს განცხადებით, 3 იანვარს გმირთა მოედანზე, საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალთან მიმდინარე აქციის მონაწილეთა უკანონო ქმედებების აღკვეთის დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის - ოთარ გვენეტაძის მხრიდან ადგილი ჰქონდა პოლიციის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ოთარ გვენეტაძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

**მედიანიუსი**

### ლეიბორისტები უცხოელი ბიზნესმენებისგან ქართული ენის პატივისცემას მოითხოვენ

ბათუმელი ლეიბორისტები უცხოელ ბიზნესმენებს ქართული ენის პატივისცემისკენ მოუწოდებენ. აღნიშნული მოთხოვნით გუშინ, ლეიბორისტული პარტიის აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარემ მამუკა ცერცვაძემ ხელვაჩაურში, სავაჭრო ცენტრ ბრენდ„-თან ლეიბორისტული პარტიის მიმართვა გაავრცელა.

ცერცვაძის განცხადებით, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, გარე რეკლამაზე უცხოურ ენასთან ერთად დართული უნდა იყოს წარწერა ქართულად, რომლის დარღვევის ნათელი მაგალითიც აღნიშნული სავაჭრო ცენტრია.

ლეიბორისტებმა ხელვაჩაურის ზედამხედველობის სამსახურს 3 დღის ვადაში ყველა დაწესებულების აბრების მოწესრიგება მოსთხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში არაქართული აბრების დემონტაჟისთ დაიმუქრნენ.

**მედიანიუსი**

### ნავთობის ფასმა მაქსიმუმს მიაღწია

ნავთობის ფასებმა მსოფლიო ბირჟებზე მაქსიმალურ ზღვარს მიაღწია.

„როიტერის“ ცნობით, ბარელი ნავთობი ლონდონის ბირჟაზე თითქმის 95 დოლარი ღირს, ნიუ-იორკის ბირჟაზე კი — 91,5 დოლარი.

სააგენტოს ცნობით, ნავთობის ფასმა ამერიკასა და ევროპაში სამრეწველო წარმოების ძლიერი სტატისტიკური მონაცემების ფონზე მოიმატა. ამ ნიშნულზე ბარელი ნავთობის ფასი ბოლოს 2008 წლის ოქტომბერში დაფიქსირდა.

**ინტერპრესნიუსი**

# „შინ“ თბილისშია

ეკა ირემაშვილი



კლუბ „გურუში“ უცხოეთში მოღვაწე ქართულმა ჯგუფმა „შინმა“ და მაია ბარათაშვილმა ჯაზის მოყვარული საზოგადოება შეკრიბა და მათთვის უჩვეულო კონცერტი გამართა, კონცერტის დაწყებამდე კი ახალი ფილმის პრეზენტაცია შედგა, რომელსაც „ველქამ თუ ჯორჯია“ ეწოდება. ფილმის რეჟისორი გიორგი კიკალიშვილი, იგივე კიკალაა. ამ ფილმის შექმნის ინიციატორი კიკალასთან ერთად გია მანჯგალაძეა. ფილმში საქართველოს განვითარების სამი ეტაპი — 30-იანი, 60-იანი წლები და თანამედროვე ეპოქა სამ მუსიკალურ ნოველაში გაერთიანდა. მუსიკოსების ერთობლივი პროექტი ქართველმა მსმენელმა პირველად შეაფასა. პროექტზე მაია ბარათაშვილი და „შინ“ რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდნენ.

ფილმის ჩვენების შემდეგ კლუბ „გურუში“ დაგეგმილ კონცერტზე 7 კომპოზიცია შესრულდა. საღამო იმ კონცერტის ანალოგი იყო, რომელიც გასულ წელს გერმანიაში მაია ბარათაშვილისა და „შინის“ მონაწილეობით ჩატარდა.

კლუბში მისული მსმენელისთვის მომღერალმა და ჯგუფმა სრულიად ახლებული ინტერპრეტაციით შეასრულა მუსიკალური კომპოზიციები, რომლებშიც რევაზ ლაღიძის, ჯანსუღ კახიძის, ალექსანდრე თორაძის, ჯონ მაკლაფლინის, ჯო ზავინულის, ჰერბი ჰენკოკის და სხვა ცნობილი ქართველი და ამერიკელი მუსიკოსების შემოქმედება იყო გაერთიანებული. როგორც კლუბში შეკრებილმა მსმენელმა აღნიშნა, ერთსაათიანი კონცერტი ნამდვილად ალსავსე იყო სიურპრიზებითა და ორიგინალური მუსიკით. პროექტზე მაია ბარათაშვილი და „შინ“ რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდნენ. ჯგუფმა კომპოზიციები შეცვლილი არანჟირებით ჩაწერა და პირველად შეასრულა ქართველი მსმენელისათვის. როგორც კლუბ „გურუში“ შეკრებილი საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, ამ პროექტის ვრცელი პროგრამა გაზაფხულზე იქნება წარმოდგენილი, ხოლო უახლოეს მომავალში მაია ბარათაშვილი და „შინ“ კომპაქტდისკზეც დაიწყებენ მუშაობას.

**ზაზა მიმინოშვილი, მუსიკოსი:**

— ალბათ, წარმოუდგენელია, როგორ უნდა გააერთიანო ჰერბი ჰენკოკისა და რევაზ ლაღიძის შემოქმედება, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით. ეს არ არის მექანიკური გაერთიანება. ჩვენი დიდი ხნის ოცნება იყო, ქართული და ამერიკული კულტურა გაგვეერთიანებინა. მიქსის გაკეთების სურვილი გვქონდა და შევძელით კიდეც. როგორი გამოგვივიდა, ეს უკვე მაყურებლისა და მსმენელის გადასაწყვეტია.

**მაია ბარათაშვილი, მომღერალი:**

— ჩვენ ცოცხლად შევასრულეთ კომპოზიციები, რომელიც ანალოგი იყო შარშან გერმანიაში გამართული კონცერტისა. გარდა ამისა, „გურუში“ მოსულ მსმენელებთან გავმართეთ დისკუსია მუსიკის შესახებ. გავიხსენეთ საინტერესო ადამიანები და ვისაუბრეთ ჯაზზე.

**გიორგი კიკალიშვილი, რეჟისორი:**

— მაია ბარათაშვილი და „შინ“ ნამდვილად არ მღერიან პაპსას, ამიტომ ჩვენც სერიოზულად მოგვიწია მუშაობა, ვინაიდან მათი მუსიკაც სერიოზულია. ფილმი არის ტრილოგია, რომელშიც საქართველოს განვითარებაა ასახული — 30-იანი, 60-იანი წლების საქართველოდან თანამედროვე საქართველოში ვინაცვლებთ და პროგრესიც სახეზეა. რთული იყო ამ ყველაფრის შეფუთვა, მაგრამ, მგონია, რომ გამოგვივიდა.

---

საქმე №2/3749-10წ.

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

საქართველოს სახელით

**საჯარო შეტყობინების შესახებ**

28 დეკემბერი, 2010 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

**მოსამართლე—თამაზ ურთმელიძე**

**განხილვის ფორმა** — ზეპირი მოსმენის გარეშე

**მოსარჩელე** — სს □ბითიეი ბანკი□ წარმომადგენელი □ ზურაბ ჯორჯიაშვილი

**მოპასუხე** — ირაკლი ქოიავა, სელმან იაკობიძე

დავის საგანი — დავალიანების გადახდევინება და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2/3749-10წ. სს □ბითიეი ბანკის□ სარჩელისა გამო მოპასუხეების ირაკლი ქოიავასა და სელმან იაკობიძის მიმართ დავალიანების გადახდევინებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში. ამავე მუხლის თანახმად, მხარე უფლებამოსილია, სასამართლო განჩინების საფუძველზე, თავისი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება ინფორმაციის სხვა საშუალებებით და სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხე ირაკლი ქოიავას სარჩელში მითითებულ მისამართზე გაგზავნილი სარჩელი და თანდართული მასალები ვერ ჩაბარდა და ამასთან მისი ადგილსამყოფელი უცნობია, მას სარჩელის და თანდართული მასალების თაობაზე უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინებით. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მოპასუხეს — ირაკლი ქოიავას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2/3749-10წ. სს □ბითიეი ბანკის□ სარჩელისა გამო მოპასუხეების ირაკლი ქოიავასა და სელმან იაკობიძის მიმართ დავალიანების გადახდევინებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე.

**<u>სარჩელის მოთხოვნებია:</u>**

1.1 დაეკისროს მოპასუსე ირაკლი ქოიავას მოსარჩელის სასარგებლოდ 43 346.34 აშშ დოლარისა და სასამართლო და სასამართლოს გარეშე გაწეული ხარჯის 2 332.90 ლარის, რაც მოიცავს სახელმწიფო ბაჟს გადახდა. ასევე მოხდეს სს □ბითიეი ბანკის□ სასარგებლოდ სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია წერილობით შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) სარჩელისა და მასში დასმულ საკითხებზე და სარჩელზე დართული დოკუმენტების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წარუდგინოთ ისინი სასამართლოს მიღებიდან **<u>07 დღის ვადაში.</u>** მოპასუხის მიერ წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

**1. სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვს პასუხი; მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელს), მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, ტელეფონი, მათ შორის, მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; პასუხში შესაძლებელია მითითებული იქნას საკონტაქტო პირის მონაცემები; ცნობს თუ არა სარჩელს და რა ნაწილში; თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი პასუხი სარჩელის წინააღმდეგ; მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს;რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას; არსებობის შემთხვევაში მოპასუხის შუამდგომლობები;ხომ არ ექნება აცილება სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ; ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად; რომელი მოწმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლო სხდომაზე; სხვა სახის შუამდგომლობები; პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა; მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი განხილვის მოსაზრების თაობაზე; მოპასუხის წერილობით პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ შესაგებელი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს. პასუხში სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა აისახოს მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით. მოპასუხე ვალდებულია პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.**

**მოპასუხე ვალდებულია თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაგებელი უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს.**

**სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე თავით დადგენილი წესით.**

**მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით.**

**პასუხს ხელს აწერს მოპასუხე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.**

**საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2321 მუხლის შესაბამისად მოპასუხის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.**

2. განემარტოს მხარეს, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;

3. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთში „ახალი თაობა□□, რაც დაევალოს მოსარჩელე სს „ბითიეი ბანკს□□.

4. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

*მოსამართლე: თ. ურთმელიძე*

---

საქმე №2/33

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

საქართველოს სახელით

**საჯარო შეტყობინების შესახებ**

22 დეკემბერი 2010 წ. ქ. წალკა

წალკის რაიონული სასამართლო

**მოსამართლე დავით გელაშვილი**

**მოსარჩელე:** ს.ს. □ენერგო-პრო ჯორჯია.

**მოპასუხე:** სერგო ჩარმადოვი.

**დავის საგანი:** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მოპასუხისათვის დაუსწრებელი გადაწვეტილების საჯარო შეტყობინებით გადაგზავნის საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

წალკის რიონული სასამართლოს 2010 წლის 13 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ს.ს. □ენერგო-პრო ჯორჯია□-ს სარჩელი და მოპასუხე სერგო ჩარმადოვს ს.ს. □ენერგო-პრო ჯორჯია□-ს სასარგებლოდ დაეკისრა მოხმარებული ელ.ენერგიის დავალიანების 405,34 (ოთხასხუთი ლარი და ოცდათოთხმეტი თეთრი) ლარის ანაზღაურება; მოპასუხე სერგო ჩარმადოვს ს.ს. □ენერგო-პრო ჯორჯია□-ს სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 50 (ორმოცდაათი) ლარის გადახდა.

ამჟამად მოპასუხეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ვერ ბარდება ვერც სარჩელში მითითებულ ძირითად მისამართზე და ვერც ალტერნატიულ მისამართზე, ვინაიდან იგი სარჩელში მითითებულ მისამართებზე არ ცხოვრობს და მისი ადგილსამყოფელი უცნობია. ამდენად მიღებულ უნდა იქნეს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

საქართველოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის I ნაწილის თანახმად □თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში.

სასამართლოს მიაჩნია, ვინაიდან მოპასუხე სერგო ჩარმადოვისათვის წალკის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 13 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარება ვერ ხერხდება, მას უნდა ეცნობოს მოცემული დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ საჯარო შეტყობინებით. შეტყობინება განხორციელდეს გაზეთში □ახალი თაობა□, რომელიც მასობრივადა გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

მოპასუხე სერგო ჩარმადოვს ეცნობოს შემდეგი: წალკის რიონული სასამართლოს 2010 წლის 13 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ს.ს. □ენერგო-პრო ჯორჯია□-ს სარჩელი და მოპასუხე სერგო ჩარმადოვს, დაბ. 01.09.1951წ. (პირადი №52001006210), ს.ს. □ენერგო-პრო ჯორჯია□-ს სასარგებლოდ დაეკისრა მოხმარებული ელ.ენერგიის დავალიანების 405,34 (ოთხასხუთი ლარი და ოცდათოთხმეტი თეთრი) ლარის ანაზღაურება; მოპასუხე სერგო ჩარმადოვს ს.ს. □ენერგო-პრო ჯორჯია□-ს სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 50 (ორმოცდაათი) ლარის გადახდა;

განემარტოს მოპასუხეს, რომ ამ გადაწყვეტილებაზე შეუძლია შემოიტანოს საჩივარი წალკის რაიონულ სასამართლოში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და არ გასაჩივრდება;

წალკის რაიონული სასამართლოს აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება სერგო ჩარმადოვისათვის გავრცელდეს საჯარო შეტყობინების გზით;

დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს გაზეთში □ახალი თაობა;

განემარტოს სერგო ჩარმადოვს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;

საჯარო შეტყობინების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი შესასრულებლად გადაეგზავნოს მოსარჩელე ს.ს □ენერგო-პრო ჯორჯია□-ს, ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს პუბლიკაციისათვის აუცილებელი ხარჯების გაღება, მასვე დაევალოს გაზეთის ერთი ეგზემპლარის წარმოდგენა სასამართლოში;

განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

*მოსამართლე: დავით გელაშვილი*

# როგორია საახალწლო აფიშა?

**ბავშვებს საშობაო არდადეგები აქვთ, ამიტომ ყველა თეატრი თუ კულტურული დაწესებულება იანვარში თავის რეპერტუარს სწორედ პატარა მაყურებელზე აგებს. თუ რას გვთავაზობენ თეატრები, კინოთეატრები თუ სხვადასხვა გასართობი ცენტრები საახალწლოდ და საშობაოდ, ამის გარკვევას „ახალი თაობა" შეეცადა.**

ეკა ირემაშვილი

რუსთაველის თეატრში მთელი არდადეგების მანძილზე პატარა მაყურებლისთვის სამი სპექტაკლია წარმოდგენილი. დიდ სცენაზე გათამაშდება „სალამურა", „ვარსკვლავთბიჭუნა" და „შობის მეთორმეტე ღამე, ანუ როგორც გენებოთ". „სალამურა" არჩილ სულაკაურის იმავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლია. ორმოქმედებიანი ზღაპრის ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუაა. რეჟისორები რევაზ ჩხაიძე და დავით კვირცხალია არიან. მხატვარია კოკა იგნატოვი. სპექტაკლის მხატვრობა აღდგენილია გოგი ალექსი-მესხიშვილის ხელმძღვანელობით. კომპოზიტორია ნოდარ გაბუნია. წარმოდგენაში გამოყენებულია საფონდო მუსიკალური ჩანაწერები რობერტ სტურუას მიერ 1971 წელს დადგმული სპექტაკლიდან „სალამურა". განახლებულ წარმოდგენაში სალომე კორკოტაშვილი მღერის, ქორეოგრაფია კოტე ფურცელაძეს ეკუთვნის, სპორტული ილეთები კი — კახა ხოშტარიას. რეჟისორის თანაშემწეა მარინა ამაღლობელი. ეს არის ულამაზესი ზღაპარი სალამურასა და ციცინათელების მწყემს გოგონას ბაიაზე. ბაიას ქონდარეთის უფლისწულის ბრძანებით გაიტაცებენ. სალამურამ უნდა იპოვოს და გადაარჩინოს დაკარგული მეგობარი. ბიჭს წინ ფათერაკებით აღსავსე მოგზაურობა ელის. სპექტაკლში მონაწილეობენ ქეთი ხიტირი, დათო გოცირიძე, პაატა გულიაშვილი, მანანა გამცემლიძე, ნიკა ქაცარიძე, ეკა მინდიაშვილი, ნინო არსენიშვილი, ტრისტან სალარიძე, ირაკლი სანაია, სოსო აბრამიშვილი, სოსო ლალიძე, მამუკა ლორია, ლევან ხურცია, ზუკა პაპუაშვილი, ბაჩი ლეჟავა, ბაჩო ჩაჩიბაია და ზაზა ბარათაშვილი. მეორე საახალწლო სპექტაკლი, რომელიც პატარა მაყურებლისთვის რუსთაველის თეატრში თამაშდება, „ვარსკვლავთბიჭუნაა". ეს არის ოსკარ უაილდის ნაწარმოების მიხედვით დადგმული წარმოდგენა. ზღაპარი ერთმოქმედებიანია. მისი თარგმანი და სცენური ვერსია რობერტ სტურუასა და ნინო კანტიძეს ეკუთვნით. დამდგმელი რეჟისორია რობერტ სტურუა, ხოლო რეჟისორი — დათო მღებრიშვილი, რეჟისორის თანაშემწე — ციცინო გვახავა, მხატვარი — ანა ნინუა, ქორეოგრაფი — კოტე ფურცელაძე, მუსიკალური გაფორმება ია საკანდელიძეს ეკუთვნის. ვარსკვლავთბიჭუნა ლამაზი ყმაწვილია, მაგრამ — საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული, ქედმაღალი და დაუნდობელი. იგი საკუთარ დედას სასტიკად ექცევა, ამიტომაც კარგავს სილამაზეს და დიდ განსაცდელში აღმოჩნდება. ვარსკვლავთბიჭუნა ბოლოს მიხვდება, რომ სიკეთე და სიყვარული უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გარეგნული სილამაზე. სპექტაკლში მონაწილეობენ სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე, დარეჯან ხარშილაძე, დავით კვირცხალია, მალხაზ ქვრივიშვილი, გოგა გველესიანი, ზურა ინგოროყვა, ირაკლი მაჭარაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ეკა მინდიაშვილი, ლელა ახალაია, ზურა შარია და მამუკა ლორია. რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე კი თბილისის მერიის მიერ დაფინანსებული საქველმოქმედო სპექტაკლი „საშობაო ზღაპარი" იდგმება, რომლის რეჟისორიც ნიკა ჰაინე შველიძეა. საახალწლო ნაძვის ხე — ასე ეწოდება ღონისძიებას, რომელზეც ეს სპექტაკლია წარმოდგენილი. მასში რუსთაველის თეატრის ცნობილ მსახიობებთან ერთად პატარა მსახიობებიც მონაწილეობენ. ამ სპექტაკლზე დედაქალაქის მერიას სოციალურად დაუცველი და მზრუნველობამოკლებული პატარები უფასოდ მოჰყავს და ჩარლზ დიკენსის ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლის ჯადოსნურ სამყაროში ამოგზაურებს. სპექტაკლის მთავარი გმირი მოხუცი სკრუჯია, რომელიც ძუნწია და საშობაოდ ტკბილეულის მოთხოვნით მისულ პატარებს უარით ისტუმრებს, შობის ღამეს კი მას სული ეცხადება და სკრუჯიც შეიცვლება. როგორც სპექტაკლის რეჟისორი ნიკა შველიძე ამბობს, სპექტაკლი იმაზეა, რომ სიკეთე ძლიერია და მისთვის ბრძოლაა საჭირო. ეს სპექტაკლი არ არის მხოლოდ შობის ისტორია. ეს სპექტაკლი და მისი ისტორია გაცილებით ღრმაა. სკრუჯი ხვდება, რომ ამ ცხოვრებაში მხოლოდ ფულის დაგროვება არ არის მთავარი. მთავარია, სწორად იცხოვრო და ბევრი სიკეთე აკეთო. საახალწლო განწყობის შემდეგ რუსთაველის თეატრი საშობაო განწყობასაც შექმნის სპექტაკლით „შობის მეთორმეტე ღამე, ანუ როგორც გენებოთ". ორმოქმედებიანი სპექტაკლი უილიამ შექსპირის მიხედვით არის დადგმული. თარგმანი ლილი ფოფხაძესა და რობერტ სტურუას ეკუთვნით, რეჟისორია რობერტ სტურუა, მხატვარი — გოგი ალექსი-მესხიშვილი, კომპოზიტორი — გია ყანჩელი, რეჟისორის თანაშემწე — მარინა ამაღლობელი. ზღვაში ხომალდი იღუპება, ტყეში ტყუპი და-ძმა ერთმანეთს კარგავს. ორივე ილირიაში მოხვდება, სადაც მათ საოცარი თავგადასავალი ელით. ამ ულამაზეს კუნძულს კეთილშობილი ჰერცოგი განაგებს. ჰერცოგის კარზე საშობაო წარმოდგენისთვის ემზადებიან და სპექტაკლის მოქმედება სახარების სცენების ფონზე იშლება. სპექტაკლში მონაწილეობენ ლევან ხურცია, ბაჩი ლეჟავა, ვანო გოგიტიძე, ნინო კასრაძე, ნინო თარხან-მოურავი, თემიკო ჭიჭინაძე, ნიკა ქაცარიძე, ნანუკა ხუსკივაძე, ნანა ლორთქიფანიძე, რუსუდან მაყაშვილი, გოგა ბარბაქაძე, გოგა გველესიანი, ლელა ალიბეგაშვილი, ზაზა პაპუაშვილი, მარინა კახიანი, ზუკა პაპუაშვილი, დათო გოცირიძე, გელა ოთარაშვილი, ტრისტან სალარიძე, ეკა მინდიაშვილი, სოსო აბრამიშვილი, ზაზა ბარათაშვილი, თენგიზ გიორგაძე, ირაკლი მაჭარაშვილი და მალხაზ ქვრივიშვილი.

თავისუფალი თეატრი პატარა მაყურებელს სამ საბავშვო სპექტაკლს სთავაზობს — „ბრემენელი მუსიკოსები" (მიუზიკლი ბავშვებისათვის), „პეპი გრძელი წინდა (მიუზიკლი ბავშვებისათვის) და „ღმერთო, დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები".

გრიბოედოვის იუბილარი თეატრი კი საშობაო არდადეგებზე მაყურებელს ახალ სპექტაკლს „მოროზკოს" სთავაზობს. ეს არის მუსიკალური წარმოდგენა, რომელიც რუსული ხალხური ზღაპრების მიხედვით შეიქმნა. იანვარში გრიბოედოვის თეატრში გათამაშდება „ჩიპოლინო", „საშობაო ზღაპარი", „ემილიას ბედნიერება" და „სალთან მეფის ზღაპარი". ყველა სპექტაკლი რუსული ხალხური ზღაპრების მიხედვით არის დადგმული.

თბილისის არტ ჰოლში 10-დან 16 იანვრამდე ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თეატრის საბალეტო დასი ჩაიკოვსკის უკვდავ ბალეტს „მაკნატუნას" წარმოადგენს. ეს არის ალექსანდრე ფადეეჩევის მიერ განახლებული, სრულიად ახლებური ინსცენირებით დადგმული ბალეტი, რომელშიც კიდევ ერთი პერსონაჟი — ფერიაა დამატებული. მის პარტიას ქართველი პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი ასრულებს.

მუსიკისა და დრამის თეატრში მისულ პატარა მაყურებელს შემოქმედებითი ჯგუფი დავით დოიაშვილის სპექტაკლებს „საშობაო ზღაპარი, ანუ იყო და არა იყო რა" და „ვერის უბნის მელოდიებს" სთავაზობს. იანვარში მუსკომედიის თეატრში ამ სპექტაკლებთან ერთად „გაყრაც" არის წარმოდგენილი.

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრში კი საახალწლო წარმოდგენები ორ დარბაზში იმართება. მოზარდმაყურებლის მსახიობები მაყურებელს „თოვლის დედოფალსა" და „ზამთრის ზღაპარს" შესთავაზებენ.

ვაკის სარდაფში კი, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილება გახდა, რეჟისორი ოთარ ეგაძე მაყურებლისთვის „ჯვალოს თოჯინას" წარმოადგენს. სპექტაკლის ჩვენებები 8 იანვრიდან დაიწყება.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, ამიტომ თეატრი შეფერხებებით მუშაობს. პარალელურად, წელს 6 თებერვალს თეატრის დამაარსებლის მიხეილ თუმანიშვილის დაბადებიდან 90 წელი სრულდება და თეატრი სრული შემადგენლობით ამ იუბილესთვის ემზადება.

სადღესასწაულო ცენტრში კომპანია „მულტი-პულტი" სადღესასწაულო სპექტაკლის პრემიერას მართავს. პატარა მაყურებელს „მულტი-პულტი" 14 იანვრამდე რვა სპექტაკლს შესთავაზებს. სპექტაკლში სახელწოდებით „ახალი წელი საფრთხეშია" პირველად პერსონაჟებთან ერთად დიდი თოჯინები მონაწილეობენ. სპექტაკლის ბოლოს თოვლის ბაბუა ბავშვებს საჩუქრებს გადასცემს.

„საშობაო ზღაპარია" უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-8 კორპუსის სააქტო დარბაზში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მაგისტრატურის სტუდენტები ინგლისურენოვან სპექტაკლ „საშობაო ზღაპარს" მართავენ. ჩარლზ დიკენსის ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლი „საშობაო ზღაპარი" საახალწლო განწყობის შესაქმნელად შექმნეს სტუდენტებმა, რომელსაც სააქტო დარბაზში მისულ დამსწრე საზოგადოებას წარუდგენენ.

კინოთეატრები „ამირანი" და „რუსთაველი" კი პატარა მაყურებელს პირველ ქართულ სამი დე ფორმატის ანიმაციას სთავაზობენ. „საახალწლო ზღაპარი, ბრძოლა ნატვრის თვალისთვის" — ასეთია 90-წუთიანი მულტფილმის სახელწოდება, რომელიც შალვა რამიშვილმა შექმნა. ანიმაციური ფილმის მხატვარი ზაალ სულაკაურია, მუსიკის ავტორი — სალომე კორკოტაშვილი. მოქმედება ამ თავბრუდამხვევი თავგადასავლებით აღსავსე ფილმში ორ ერთმანეთისგან 1500 წლით დაშორებულ ეპოქაში კავკასიონის მთებში შეყუჟულ შატილში და 22-ე საუკუნის საქართველოში ვითარდება. პატარა გიორგის ბრძოლა უწევს, რომ ნატვრის თვალი შეინარჩუნოს. როგორც თითქმის ყველა ზღაპარში, მით უფრო საახალწლოში, ბოროტზე კეთილი იმარჯვებს. მიუხედავად იმისა, რომ ანიმაციური ფილმი ზღაპარია, ის მხოლოდ ბავშვებისთვის არ არის საინტერესო. „საახალწლო ზღაპარს" გივი ბერიკაშვილი, გია ბურჯანაძე, ირაკლი ფრანგიშვილი და მათთან ერთად 7 მსახიობი ახმოვანებენ. მულტფილმის შემქმნელები ლოზუნგით „საახალწლოდ ოცნებები სრულდება" კინოთეატრებში გათამაშებას იწყებენ. საახალწლო ზღაპრის პრემიერამდე კინოთეატრებმა „რუსთაველმა" და „ამირანმა" და თვითონ ანიმაციის შემქმნელებმა გადაწყვიტეს, თავიანთი მომხმარებლისთვის საკმაოდ საინტერესო და ორიგინალური საჩუქარი გაეკეთებინათ და საახალწლო ზღაპრით სურვილების ასრულება დაიწყეს. „რათა თქვენი სურვილი ასრულდეს, უნდა დაწეროთ, რა არის თქვენი ყველაზე დიდი ოცნება და გააგზავნოთ სპეციალურ მისამართზე. ყველაზე, ყველაზე გულწრფელი სურვილების სამ ავტორს საახალწლო ზღაპარი სანუკვარ ოცნებას აუსრულებს", — განაცხადეს მულტფილმის შემქმნელებმა.

თეატრებსა თუ სხვა კულტურულ დაწესებულებებში საახალწლო წარმოდგენებზე დასასწრები ბილეთის ფასი 5-დან 15 ლარამდეა.

## ელისო ბოლქვაძემ დაბადების დღე თბილისში გადაიხადა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

საგანგებო კონცერტიც გამართა, რომლის ორგანიზატორიც „თი-ბი-სი" ბანკი იყო.

— ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემი დაბადების დღე თბილისში გადავიხადე. ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის ის იყო, რომ ჩემ გარშემო ჩემი საყვარელი ადამიანები შეიკრიბნენ. სამწუხაროდ, საქართველოში იშვიათად ჩამოვდივარ და მაშინაც ისეთი გადატვირთული გრაფიკი მაქვს, რომ ჩემი უახლოესი მეგობრებისა და ნათესავების მონახულებას ვერ ვასწრებ. ჩემს დაბადების დღეზე კი ყველა ის ადამიანი მოვიდა, ვინც ძალიან მიყვარს და მენატრება, — აღნიშნა იუბილარმა პიანისტმა.

დაბადების დღის აღნიშვნის შემდეგ ელისო ბოლქვაძე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ესტუმრა. სტუმარს მასპინძლობა ცენტრის დირექტორმა ზუბა კუდავამ გაუწია. ქართული ხელნაწერების საცავში ცნობილ პიანისტს საშუალება ჰქონდა, ეხილა ცენტრის უმდიდრეს კოლექციაში დაცული ხელნაწერები — ჯრუჭის სახარება, „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერები, ბექა და ბეშქენ ოპიზარების ხელით მოჭედილი წყაროსთავისა და ბერთის სახარებები. ელისო ბოლქვაძის დიდი ინტერესი ფილიმონ ქორიძისა და ექვთიმე კერესელიძის მიერ გადაწერილმა საგალობლებმა დაიმსახურა.

ქართველი პიანისტი ასევე გაეცნო უცხოენოვან ხელნაწერებსა და ცნობილი საზოგადო მოღვაწეების პირად საარქივო ფონდს. სტუმარმა დაათვალიერა მუდმივმოქმედი ექსპოზიცია „ქართული ხელნაწერი". ელისო ბოლქვაძემ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დღიურში სამახსოვრო ჩანაწერიც გააკეთა.

## „მოამბემ" იუბილე აღნიშნა

ეკა ირემაშვილი

პირველი არხის საინფორმაციო სამსახურმა 4 იანვარს დაარსებიდან 40 წლის იუბილე აღნიშნა. პროგრამა „მოამბე" ამ წლების მანძილზე შეცვლილი სახელწოდებებით, მაგრამ 40 წელი პირდაპირ ეთერში მუშაობს და ყოველდღიურად მაყურებელს ახალ ამბებს აწვდის. 51 წლის წინ, 1956 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს ტელეხედვის სტუდია ეთერში გავიდა. შემოქმედებითმა ჯგუფმა ტელეანძის პატარა სტუდიიდან ეთერში ორსაათიანი გადაცემა გაიყვანა, საინფორმაციო სამსახურმა კი ყოველდღიური მაუწყებლობა ტელევიზიის შექმნიდან ათი წლის შემდეგ დაიწყო. „მოამბის" დაარსებიდან წელს 41 წელი გავიდა. წლებთან ერთად იცვლებოდნენ დიქტორები თუ წამყვანები, იცვლებოდა საინფორმაციო გამოშვების სახელწოდებაც. დღეს კი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ახალი ამბები ყოველდღე იმ სახელწოდებით გადის, რომლითაც „მოამბემ" მაუწყებლობა წლების წინ დაიწყო.

ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე „მოამბის" ჟურნალისტებს შეხვდა და მათთვის მიღება გამართა. მან ღვაწლმოსილ ჟურნალისტებს მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისთვის და განსაკუთრებით აღნიშნა მათი როლი ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში. იუბილარებმა დავით ბაქრაძეს სიმბოლური საჩუქარი — საკუთარი ხელმოწერებით გაფორმებული კალათბურთის ბურთი გადასცეს. პარლამენტის თავმჯდომარემ „მოამბის" სხვადასხვა თაობის ჟურნალისტებს ახალი წელი და დამდეგი შობაც მიულოცა.




...ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**
**ახალი ქსელები 700 608**
**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები
(იხ. მენიუში: სხვადასხვა –
საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**


## განცხადებები


- ქირავდება ერთოთახიანი ბინა ალმაშენებელზე, ჭავჭავაძის ქუჩაზე (ყოფილი შეროზია), III სართული, გარემონტებული. ფასი 200 დოლარი. ტელ: 855-45-90-06; 893-27-24-61.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.
- სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.
- იყიდება 2500 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სასმელი და სარწყავი წყლით, ფასი 1 კვ.მ. 3 დოლარი, და 7000 კვ.მ. ვენახი ჩინური და თავკვერის ჯიშებით გამართული, ფასი 1 კვ.მ. 5 დოლარი. თბილისიდან 30 კმ-ში, მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში. ტელ:. 890 53-02-41; 53-15-87.
- ბაგებში იყიდება მიწის ნაკვეთი, 716 კვ.მ. შესანიშნავი ხედით, დამტკიცებული პროექტითა და მშენებლობის ნებართვით. მიყვანილია ყველა სახის კომუნიკაცია. ტელ: 899-49-02-67.
- ვყიდი 37,5 კვ-იან დიზელის გენერატორს და ვიყიდი 15 ან 20 კვ-იან დიზელის გენერატორს. შესაძლებელია გაცვლაც. ტელ.: 890-388-142. 899-388-141.
- მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- იყიდება ერთოთახიანი იზოლირებული ბინა დიდი ლოჯით, სამზარეულოთი, ვანა-ტუალეტით. საერთო ფართი 54 კვ.მ. იტალიური ეზოს მე-2 სართულზე (ხარფუხში, დემირელის სკოლასთან). ტელ.: 857 99 05 40.
- იყიდება ავტომობილი „ნივა" კარგ მდგომარეობაში, ფასი 2000. ტელ:. 899 932 732.

# მესუთ ოზილი: „ვიპ ცხოვრება არ მიყვარს“

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესანიშნავად ჩატარების შემდეგ გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი მესუტ ოზილი არც მადრიდის „რეალში“ ჩაიკარგა. ახალგაზრდა გერმანელი, რომელსაც თურქული წარმოშობის ფესვები აქვს, ინტერვიუებს იშვიათად ი ლევა, თუმცა, თუ მასთან საუბარი მოხერხდა, ყოველთვის გულახდილი, ღია და საინტერესო გამოდის.**

გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ერთ-ერთმა ესპანურმა ჟურნალმა გამოაქვეყნა.

*— როგორ მიდის თქვენი საქმეები ესპანეთში?*

— ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემი ოჯახი პირველივე კვირიდან ჩემ გვერდით იყო და ძალიან მეხმარებოდა, ხოლო ჟოზე მოურინიო და მთლიანად გუნდი თბილად დამხვდნენ, რის შედეგად ესპანური ცხოვრების ადაპტირება არ გამჭირვებია.

*— როგორ გრძნობდით თავს, როდესაც გასახდელში პირველად შეხვდით ისეთი სუპერვარსკვლავის წინააღმდეგ, როგორიც კრიშტიანუ რონალდუ და სხვები არიან, ხომ არ გიგრძვნიათ მათგან ქედმაღლობა?*

— მსგავსი არაფერი მომხდარა — ყველა ძალიან მეგობრული იყო, რომელიც დღემდე გრძელდება.

*— ძალიან ბევრი თვლის, რომ მადრიდის „რეალში“ გადასვლა იგივეა, რაც ზვიგენებით სავსე აუზში გადახტე.*

— ასე ნამდვილად არ არის. გუნდში თითქმის ოჯახური ატმოსფეროა, ვარჯიშებზე ყველა ბოლომდე ვიხარჯებით, ხოლო თავისუფალ დროს ერთადაც ვატარებთ და ხშირად ვხუმრობთ.

*— მაგალითად?*

— ძალიან ბევრი ვიცინეთ, როდესაც ერთ-ერთმა თანაგუნდელმა ყველა ფეხბურთელის კარადაზე ჩვენივე ფოტოები გააკრა საშინელი ვარცხნილობებით.

*— ჯერ მხოლოდ 21 წლის ხართ, „რეალთან“ კონტრაქტი კი 6 წლით გაკავშირებით, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ ფინანსებზე პრობლემები არ გექნებათ. როგორ ფიქრობთ, თქვენი ოცნება ახდა?*

— ჯერჯერობით მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ვთამაშობ მსოფლიოს საუკეთესო კლუბში, საუკეთესო მწვრთნელთან ვმუშაობ, მაგრამ არ მომიგია არც ერთი ტიტული „რეალთან“ ერთად. აქედან გამომდინარე, წინ კიდევ დიდი გზაა, რომ ჩემი ოცნებები ავიხდინო.

*— როგორია თქვენი ხანგრძლივი გეგმები?*

— მინდა გავხდე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი. სწორედ ამიტომაც ვარ ამ გუნდში და ვმუშაობ მოურინიოსთან ერთად, რათა ზრდა გავაგრძელო. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ პორტუგალიელ სპეციალისტთან ერთად მიწევს მუშაობა და არა მარტო იმისთვის, რომ მან ბევრი ტიტული მოიგო.

*— მაინც რამ იმოქმედა თქვენს გადაწყვეტილებაზე, როდესაც „რეალში“ თამაში გადაწყვიტეთ?*

— ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი მოურინიოსთან საუბარი იყო. მან მითხრა, რომ ჩემი ხილვა სურს გუნდში და ამაში თანხებს არ დაიშურებს. საუბარი ტელეფონით 45 წუთი გაგრძელდა, რომლის დროსაც დამარწმუნა, რომ ჩემი ეიმედება და მეც უმალვე დავთანხმდი.

*— კონკრეტულად ვერ გვეტყვით, რა გითხრათ ასეთი?*

— ყველა დეტალის გახმაურებას საჭიროდ არ მივიჩნევ. მთავარია, რომ მან დამარწმუნა. ასევე ძალიან კარგად ვხედავდი, რომ „რეალში“ მოთამაშე ფეხბურთელები ყოველთვის აგრძელებდნენ ზრდას.

*— არ მიგაჩნიათ, რომ ცხოვრებაში მოკრძალებული ადამიანი მოედანზე სულ სხვაგვარად იქცევით?*

— ვფიქრობ, ასეა. როდესაც ბავშვობაში ბურთს ვხედავდი, მაშინვე მიჩნდებოდა სურვილი, მისით გავრთობილიყავი და მეჩვენებინა, რისი გაკეთება შემიძლია. ახლაც იგივე მეორდება.

*— ქებას არც პრესა გაკლებთ. თქვენ როგორი რეაქცია გაქვთ ამ ფაქტზე?*

— რა თქმა უნდა, ეს საამაყოა. თუმცა, ისეთი აღზრდილი ვარ, რომ ქების შემდეგ ცაში არ დავფრინავ და კიდევ უფრო მონდომებით ვვარჯიშობ.

*— კლუბის გარეთ თქვენი ყველაზე დიდი კრიტიკოსი ვინ არის?*

— მამაჩემი. ის ხშირად მაკრიტიკებს და სასარგებლო რჩევებსაც მაძლევს. რაც მთავარია, ის გულწრფელია ჩემ მიმართ. როდესაც თამაში არ მიმდის, მამა ზუსტად მეუბნება, სად რა შეცდომა დავუშვი. მთავარი ის არის, რომ მისი ყველა რჩევა ჩემთვის უძვირფასესია.

*— „რეალში“ 23 ნომერი აირჩიეთ, რომელმაც ვერაფერი კარგი არგო ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც უესლი სნეიდერი და რაფაელ ვან დერ ვაარტი არიან. არ ხართ ცრუმორწმუნე?*

— ამის გამო საერთოდ არ ვნერვიულობ. უბრალოდ, ეს ნომერი თავისუფალი იყო და მეც ავიღე.

*— თქვენი პირველი დღეები მადრიდში რთული გამოდგა, რადგან მოურინიოსთან ენობრივი ბარიერი ვერ აანწყვეთ. ცუდად საუბრობთ ესპანურად და ინგლისურად. ეს პრობლემა როგორ დაძლიეთ?*

— სამი ჰედირასთან ერთად ესპანურის კურსებზე დავდივარ და გარკვეული წარმატებები გვაქვს. ამასთან, რამდენიმე ფეხბურთელმა იცის ინგლისური და სიტყვებს გვითარგმნიან. ჰედირასთან ერთად ორივეს გაგვიმართლა, რადგან „რეალში“ ერთად მოვხვდი.

*— სად სწავლობთ ესპანურს?*

— სახლში. პროფესორი მოდის კვირაში 2-3-ჯერ, მაძლევს დავალებას და მეც ვასრულებ. ჩემი სურვილია, რაც შეიძლება მალე შევისწავლო ესპანური ენა.

*— „რეალში“ რას გეძახიან თანაგუნდელები? როგორც ვიცით, „ვერდერში“ ყველა მესის გეძახდათ.*

— „ვერდერშიც“ და გერმანიის ნაკრებშიც, „რეალში“ კი ყველა ოზის მეძახის.

*— თქვენ ცნობილი ხართ იმით, რომ არ გიყვართ მდიდრული ცხოვრება და ფულების ფანტვა ძვირფას ნივთებში. ახლა, როდესაც „გალაქტიკოსის“ წევრი ხართ, აძლევთ თავს ამის უფლებას?*

— ასეთი რამ ჩემთვის საინტერესო არ არის. ჩემი მიზანია, წარმატებას მოედანზე მივაღწიო. „ვიპ ცხოვრება“ არ მაინტერესებს. თავისუფალ დროსაც ოჯახში, ნათესავებთან და მეგობრებთან ვატარებ.

*— ნათქვამი გაქვთ, რომ თქვენი კუმირი ზინედინ ზიდანი იყო.*

— მისი თამაშით ყოველთვის მოხიბლული ვიყავი. ჰქონდა საინტერესო სტილი, მოედანზე გამოუცნობ გადაადგილებებს აკეთებდა, ძალიან სახიფათო იყო მეტოქის კართან... ის ჩემთვის ბოლომდე ჩამოყალიბებული ფეხბურთელი იყო.



*— თქვენს ქვეყანაში „გერმანელ გმირს“ გიწოდებენ. ეს მაშინ, როდესაც თქვენში კულტურის ინტეგრაციაა — გერმანული და თურქული. ამასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?*

— გერმანიის მოქალაქეობა იმიტომ ავიღე, რომ ასე მსურდა. ბუნდესნაკრებში თამაში იმიტომ გადავწყვიტე, რომ ბავშვობიდან მქონდა ჩაფიქრებული და გერმანიაში ჩემი ოჯახის მესამე თაობა ცხოვრობს, იქ უამრავი მეგობარი მყავს და, მგონი, ჩემი გადაწყვეტილება გასაკვირი არ უნდა იყოს. ერთსაც დავამატებდი — მინდა, ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელის მაგალითი ვიყო.

*— ამბობენ, რომ თქვენზე ზეწოლაც კი იყო, რათა თურქეთის ნაკრები აგერჩიათ.*

— არანაირი ზეწოლა არ ყოფილა — მე გადაწყვეტილება მიღებული მქონდა. ეს კარგად იცოდნენ ჩემმა მეგობრებმა და მხარსაც მიჭერდნენ. მეტიც, სხვა ვარიანტი არ მქონია.

*— ხედავთ თქვენს თავს გერმანიის ნაკრების კაპიტნად?*

— ერთი, რაც მინდა, ეს არის, რომ ისეთ დონეზე ვითამაშო, მწვრთნელები მენდობოდნენ.

*— მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრებთან (4:0) გამარჯვების შემდეგ გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს შეხვდით. როგორ დაგამახსოვრდათ?*

— პოზიტიურად. ჩვენი კანცლერი ძალიან სასიამოვნო, ჭკვიანი და პირდაპირი ადამიანია.

*— რას ფიქრობთ მასზე?*

— აღფრთოვანებული ვარ. მან ძალიან ბევრი გააკეთა გერმანიისთვის და ამას ძლიერ ვაფასებ. სამხრეთ აფრიკაში ყველასთან ძალიან მეგობრულად იყო.

*— ბოლო არჩევნებზე ხმა მას მიეცით?*

— დიახ. თუმცა, ამ თემაზე საუბარი აღარ მსურს.

*— თქვენს ქვეყანაში ძალიან ბევრს საუბრობენ, რომ ბოლო 10-წლეულში ნაკრების შემადგენლობა ეთნიკურად ძალიან შეიცვალა. ეს გაღელვებთ?*

— დიახ. ეს იმიტომ, რომ ძალიან მინდა, გერმანიის ყველა მცხოვრებმა თავი ერთ დიდ ოჯახში იგრძნოს. ჩვენ ერთად ვცხოვრობ და თურქების საკმაოდ დიდი ნაწილი გერმანული პასპორტის მქონეა. ამიტომაც წინააღმდეგი ვარ ამ თემის განხილვის.

*— როგორ შეიძლება, შეიცვალოს სიტუაცია?*

— მთავარია, ყველამ ახლოს გავიცნოთ ერთმანეთი. მნიშვნელოვანია, ადამიანებმა ერთმანეთში გაცვალონ იდეები. ასეთ შემთხვევაში ინტეგრაცია უმტკივნეულოდ ჩაივლის.

*— მოდით, ადრეულ წლებს დავუბრუნდეთ. ფეხბურთის თამაში გელზერკირხენში დაიწყეთ, იმ მოედნებზე, რომელსაც „მაიმუნის გალიებს“ უწოდებენ. იქ საუკეთესო იყავით?*

— არა. ჩემი უფროსი ძმა, მუტლუ, გაცილებით დიდი ტალანტის მქონე ფეხბურთელი იყო.

*— მაგრამ თქვენი ძმა ახლა გერმანიის რეგიონალლიგაში თამაშობს. ამის გამო სიძულვილი ხომ არ არის?*

— არანაირი. ჩემი ძმა ყოველთვის მხარს მიჭერს და ჩემით ყოველთვის ამაყობს.

*— გელზერკირხენელ მეგობრებთან ურთიერთობა გაქვთ?*

— რა თქმა უნდა. ახლა დასვენების დღეები მათთან ერთად გავატარე და ისინიც ხშირად არიან ჩემი სტუმრები მადრიდში.

*— როდესაც შვებულებაში იყავით, თვითმფრინავში, ეკონომ კლასის სალონში დაგინახეს.*

— დიახ. მალიორკაში მივფრინავდი კომპანია „ეარ ბერლინის“ თვითმფრინავით და ასეთ მოკლე მანძილებზე არ მიყვარს მთელი გზა უკანა სალონში ჯდომა.

*— რაში გაიღეთ ყველაზე დიდი თანხა თქვენი სიამოვნებისთვის?*

— ეს არის სახლი მადრიდში.

*— ფულს სად ინახავთ?*

— ძალიან ბევრს არ ვხარჯავ, მაგრამ მეც მინდა, ცხოვრებაში სიამოვნება მივიღო. დიდ ყურადღებას ვაქცევ ფასებს. მაგალითად, ხშირად ვყიდულობ „ზარას“ ფირმის ტანსაცმელს, მაგრამ არც „დოლჩე და გაბანას“ ვერიდები.

*— მოდით დაინტერესებული ხართ?*

— ჩემი სტილი მაქვს და ვყიდულობ მხოლოდ იმას, რაც მომწონს. ძალიან მიყვარს კარგი ფეხსაცმელი და ჩემს სახლში ამისთვის სპეციალური ოთახია გამოყოფილი.

*— ფილმების ყურება გიყვართ?*

— დიახ. განსაკუთრებით „ბოევიკები“ და მაფიის შესახებ.

*— წიგნებს კითხულობთ?*

— სათავგადასავლო რომანებს.

*— როგორც ვიცით, თავისუფალ დროს მაგიდის ჩოგბურთსაც თამაშობთ. სპორტის ამ სახეობას რომ გაჰყოლოდით, შეგეძლოთ გეთამაშათ პროფესიონალურ დონეზე?*

— ვფიქრობ, კი, რადგან ყოველთვის კარგად ვთამაშობდი.

*— დაბოლოს, თქვენმა ახლანდელმა თანაგუნდელებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე დაგამარცხეს. ამის გამო ხომ არ გაბრაზებენ?*

— რა თქმა უნდა. მაგალითად, იკერ კასილიასმა გამიღიმა და წარმატებები მისურვა შემდეგ შეხვედრაში.

# „დინამოდან“ ლიდერები გაუშვეს, „ბაიას“ დახმარებას გუბერნატორი დაჰპირდა

ალბათ, დღე არ გავა, რომ ქართულ კლუბებში რაიმე ტრანსფერი არ განხორციელდეს. ბოლო დღეებში განსაკუთრებით 2 კლუბი გააქტიურდა — თბილისის „დინამო“ და რუსთავის „ოლიმპი“.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, „დინამოს“ ახალმა ხელმძღვანელობამ კონტრაქტის გაგრძელება არ ისურვა გუნდის ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ ფეხბურთელ დავით მუჯირთან. არადა, როგორც შევიტყვეთ, თავად ფეხბურთელს ამის სურვილი ჰქონდა. თუმცა, ახლა „მუმუ“ კარიერას ისევ უცხოეთში გააგრძელებს.

„დინამოდან“ წავიდა კიდევ ერთი მობრუნებული ლეგიონერი — ირაკლი ლილუაშვილი, რომელიც ჩვენს ჩემპიონატს სლოვაკეთიდან დაუბრუნდა, მაგრამ მხოლოდ 4 მატჩი ითამაშა.

რაც შეეხება შევსებას, „დინამომ“ 6-თვიანი განშორების შემდეგ ცხინვალის „სპარტაკიდან“ დაიბრუნა შოთა კაშია. უფროსი კაშია მარჯვენა ნახევარმცველია, თუმცა ამავე ფლანგზე დაცვაში თამაშიც შეუძლია.

სავარაუდოდ, „დინამოში“ შესაძლოა დაბრუნდეს დანიური „ვიბორგიდან“ წამოსული გიორგი ფოფხაძე. 24 წლის ფეხბურთელმა 5-წლიანი საგა დაასრულა სკანდინავიაში და ახლა საქართველოშია, რამდენი უცხოური სინჯიც გაიარა, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ ისმის და, არ არის გამორიცხული, საქართველოში დარჩეს.

„დინამოში“ შესაძლოა მობრუნდეს კიდევ ერთი მისი აღზრდილი, სანდრო კობახიძეც, რომელიც კლუბმა საკმაოდ სოლიდურ ფასად გაყიდა დნეპროპეტროვსკის „დნიპროში“, მაგრამ იქ თავი ვერ დაიმკვიდრა და რამდენიმე კლუბში განათხოვრებით ითამაშა. უკრაინულ კლუბს მისი სამსახური არც ახლა სურს და მის „დინამოში“ დაბრუნებასაც ვარაუდობენ.

„ოლიმპი“ 2-მა ფეხბურთელმა რომ დატოვა, უკვე ვწერდით. თუმცა, გუნდმა ამდენივე ფეხბურთელი იხმო სინჯებზე. უკვე 2 დღეა გუნდში ვარჯიშობენ გიორგი მოდებაძე და გელა ხუბუა.

გიორგი მოდებაძე „ოლიმპის“ თავდამსხმელის, ირაკლი მოდებაძის ძმაა და, თუ გუნდში დარჩა, ქვემოქართლელები მეორე ეტაპიდან მოდებაძეებით შეუტევენ. გიორგი ბოლოს აზერბაიჯანულ „თურანში“ თამაშობდა, მაგრამ გუნდის მწვრთნელის, რევაზ ძოძუაშვილის წამოსვლის შემდეგ ფეხბურთელიც სამშობლოში დაბრუნდა.

რაც შეეხება ხუბუას, მისთვის ეს კლუბი ნაცნობია და ადრეც უთამაშია, მაგრამ ბოლო პერიოდში უკლუბოდ იყო და ახლა დიდი ძალისხმევა მოუწევს, სასურველი ფორმა დაიბრუნოს და მწვრთნელებს თავი ხელმეორედ მოაწონოს.

ორივე ფეხბურთელის დარჩენა-არდარჩენის საკითხი რამდენიმე დღეში უნდა გაირკვეს.

სასიკეთო ხმები ისმის ზუგდიდიდან. როგორც იქაური გუნდის თავკაცები ამბობენ, ფინანსური საკითხების მოგვარებას სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია დაჰპირდა და გუნდი იმედიანად შეიკრიბება. ერთია, მეგრულ კლუბში აღარ დაბრუნდებიან გიორგი მეგრელაძე, ლუკა გუგუჩია, ალექსანდრე გოგობერიშვილი, გრიგოლ დოლიძე და დავით ჭიჭვეიშვილი. რაც შეეხება ლევან წურწუმიას, მას გუნდი ვერ შეელია და ქუთაისის „ტორპედოში“ აღარ გაანათხოვრა.

ზუგდიდური კლუბი ასევე დატოვა ლევან აკობიამ და სათამაშოდ ისევ სომხეთში გაემგზავრა, სადაც ძველ გუნდ „ულისეს“ დაუბრუნდა. საუბარია მეკარე თორნიკე ზარქუასა და მცველ ნიკა კვეკვესკირის თბილისის „დინამოში“ გადაბარგებაზეც.

„ბაია“ მზადებას 8 იანვარს საქართველოში დაიწყებს და უკვე ეძებენ სპარინგ-პარტნიორებს.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

ს.არაბეთი-ანგოლა ..... 0:0
ბაჰრეინი-ჩრ.კორეა ..... 0:1

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბლექპული-ბირმინგემი ..... 1:2
მანჩესტერი-სტოკი ..... 2:1
ფულემი-ვესტ ბრომვიჩი ..... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 20 | 12 | 8 | 0 | 43-19 | 44 |
| 2.სიტი | 21 | 12 | 5 | 4 | 33-16 | 41 |
| 3.არსენალი | 20 | 12 | 3 | 5 | 42-22 | 39 |
| 4.ტოტენჰემი | 20 | 10 | 6 | 4 | 30-23 | 36 |
| 5.ჩელსი | 20 | 10 | 5 | 5 | 36-18 | 35 |
| 6.სანდერლენ. | 21 | 7 | 9 | 5 | 24-22 | 30 |
| 7.ბოლტონი | 21 | 7 | 8 | 6 | 33-28 | 29 |
| 8.სტოკი | 21 | 8 | 3 | 10 | 26-26 | 27 |
| 9.ლივერპ. | 19 | 7 | 4 | 8 | 23-24 | 25 |
| 10.ნიუკასლი | 20 | 7 | 4 | 9 | 29-31 | 25 |
| 11.ბლექპული | 19 | 7 | 4 | 8 | 27-32 | 25 |
| 12.ბლექბერნი | 21 | 7 | 4 | 10 | 26-34 | 25 |
| 13.ფულემი | 21 | 4 | 10 | 7 | 22-24 | 22 |
| 14.ევერტონი | 20 | 4 | 10 | 6 | 21-24 | 22 |
| 15.ბირმინგ. | 20 | 4 | 10 | 6 | 20-25 | 22 |
| 16.ვ.ბრომვიჩი | 21 | 6 | 4 | 13 | 26-39 | 22 |
| 17.ა. ვილა | 20 | 5 | 6 | 9 | 23-37 | 21 |
| 18.ვესტჰემი | 21 | 4 | 8 | 9 | 22-33 | 20 |
| 19.უიგანი | 20 | 4 | 8 | 8 | 17-32 | 20 |
| 20.ვულვზი | 20 | 5 | 3 | 12 | 20-35 | 18 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

კარდიფი-ლიდსი ..... 2:1

**პორტუგალია. თასი**

ბრაგა-გიმარაეში ..... 3:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-ლარისა ..... 3:0
ქსანთი-პანათინაიკოსი ..... 0:2
არისი-კავალა ..... 1:0

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

მაიამი-მილუოკი ..... 101:89
ნიუ იორკი-სან ანტონიო ..... 128:115
მემფისი-ოკლაჰომა ..... 110:105
ჩიკაგო-ტორონტო ..... 111:91
დალასი-პორტლენდი ..... 84:81
ლეიკერსი-დეტროიტი ..... 108:83
საკრამენტო-ატლანტა ..... 102:108
ზაზა ფაჩულია: 6 ქულა, 8 მოხსნა

### ხელბურთი

**ამხანაგური მატჩი**

ნორვეგია-შვედეთი ..... 30:37

### ჩოგბურთი

**ატპ. ბრისბენი. პირი**

სოდერლინგი-ჰარისონი ..... 6:2;6:4
მაიერი ფ.-ბარანკისი ..... 6:4;4:6;6:4
ბეკერი-ჰირალდო ..... 3:6;4:6
როდიკი-დოლგოპოლოვი ..... 6:4;6:1
ანდერსონი-ლოპესი!ფ. ..... 6:3;6:1
ბაგდატისი-კუბოტი ..... 6:2;6:2
ფიში-შტეპანეკი ..... 3:6;1:6

**ატპ. დოჰა. პირი**

ლაკო-რიბა ..... 5:7;7:6;7:6
კოლშრაიბერი-სეპი ..... 6:2;6:4
ნადალი-ბეცკი ..... 6:3;6:0
ტროიცკი-სტახოვსკი ..... 6:4;7:5
კარლოვიჩი-როსოლი ..... 7:6;7:6

**ვტა. ბრისბენი. პირი**

ციბულკოვა-ვინჩი ..... 6:2;7:5
პეტკოვიჩი-დოკიჩი ..... 6:0;6:1
კვიტოვა-პერვაკი ..... 1:6;6:4;6:2
ბარტოლი-ბენეშოვა ..... 6:1;3:6;6:0

**ვტა. ოკლენდი. პირი**

ვესნინა-ჰალეპი ..... 6:2;4:6;0:6
კუზნეცოვა-პენგი ..... 6:2;4:6;4:6
არვიდსონი-არნი ..... 6:4;5:7;5:7
სუარეს ნავარო-უოტსონი ..... 6:7;1:6
შარაპოვა-ვორაცოვა ..... 6:3;7:5
ვიკმაიერი-ლისიცკი ..... 6:2;3;6;6:2
ბონდარენკო კ.-კეტავონგი ..... 7:5;6:3
გერგესი-კორნე ..... 6:2;6:4

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

ვაშინგტონი-ტამპა ბეი ..... 0:1(ოტ)
ნიუ ჯერსი-მინესოტა ..... 1:2
კოლორადო-ბუფალო ..... 4:3(ოტ)
ფინიქსი-კოლამბუსი ..... 4:2
ედმონტონი-დეტროიტი ..... 3:5

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## დღის კალენდარი

**6 იანვრისთვის**



წლის მე-6 დღე, ახალ წლამდე დარჩა 359-ე დღე.

### საეკლესიო კალენდარი

**ხუთშაბათი**

ქრისტეს შობიდან წინადღე; ხსენება ღირსი მოწამე ევგენიასი და მისთანა პროტისა, იაკინთესი და კლავდიასი (დაახლ. 262); ღირსი ნიკოლოზ მონაზონისა (IX).

**დაიბადნენ:**

1412 — ჟანა დ,არკი, საფრანგეთის ეროვნული გმირი. გარდაიცვალა 1431 წელს.

1571 — იოჰან კეპლერი, გამოჩენილი ასტრონომი.

1822 —— ჰაინრიხ შლიმანი, გერმანელი არქეოლოგი. აღმოაჩინა ძველი ტროა. გარდაიცვალა 1890 წელს.

1832 — გუსტავ დორე, ფრანგი გრაფიკოსი.

1865 — ნიკო მარი, ენათმეცნიერი, ფილოლოგი, ორიენტალისტი, არქეოლოგი. გარდაიცვალა 1934 წელს.

1878 — კარლ სენდბერგი, ამერიკელი პოეტი.

**გარდაიცვალნენ:**

1884 — გრეგორ მენდელი, ავსტრიელი ბერი, გენეტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

1919 — თეოდორ რუზველტი, შეერთებული შტატების 26-ე პრეზიდენტი.

1974 — დავიდ ალფარო სიკეიროსი, მექსიკელი მხატვარი.

1981 — არჩიბალდ კრონინი, შოტლანდიელი მწერალი.

**მოვლენები:**

1785 — ფრანგი ბლანშარი და ამერიკელი ჯეფრისი პირველად ისტორიაში გადაფრინდნენ საჰაერო ბურთით საფრანგეთიდან ინგლისში.

1912 — ნიუ მექსიკო გახდა შეერთებული შტატების 47-ე შტატი.

1918 — ბოლშევიკებმა გარეკეს რუსეთის დამფუძნებელი კრება.

1950 — დიდმა ბრიტანეთმა ცნო ჩინეთის კომუნისტური რეჟიმი.

1992 — სამხედრო გადატრიალების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თბილისი დატოვა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

კათოლიკური სამყარო უფალი იესო ქრისტეს ნათლისღებას დღესასწაულობს.

სლოვაკეთი — სამი ხელმწიფის დღე.

*მედიანიუსი*



# გერმანიის პროკურატურამ სუკის ყოფილი აგენტის მოწამვლის განცხადება არ დაადასტურა

გერმანიის პროკურატურამ ვერ შეძლო ფაქტებით დაედასტურებინა, რომ სუკის მისამართით კრიტიკული პუბლიკაციების ავტორის, ბერლინში მცხოვრები ვიქტორ კალაშნიკოვის და მისი მეუღლის ვერცხლისწყლით მოწამვლა სცადეს.




გერმანიის პროკურატურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მიმდინარე წლის დეკემბერში დაწყებული გამოძიება შეწყვეტილია.

საინფორმაციო საშუალებების, მათ შორის ბრიტანული „სანდი თაიმსის" ინტერვიუში ცოლქმარმა კალაშნიკოვებმა განაცხადეს, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა ისინი იმის გამო მოწამლეს, რომ ვიქტორ კალაშნიკოვმა 1990-იანი წლების დასაწყისში რუსეთის დაზვერვა სკანდალურად დატოვა.

გავრცელებული ცნობების თანახმად, კალაშნიკოვის სისხლში ვერცხლისწყლის შემცველობა ნორმას 50-ჯერ აღემატებოდა, კალაშნიკოვმა წონაში 15 კილოგრამი დაიკლო, ხოლო მის ცოლს თმები სანახევროდ გასცვივდა.

ცოლ-ქმარი გარდა ამისა, უძილობას, თავის და ხერხემლის არეში ტკივილებს უჩიოდნენ.

მიუხედავად ამისა, გერმანიის პროკურატურის წარმომადგენლების განცხადებით, არ არსებობს რაიმე დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ ისინი მოწამლეს. ყოველ შემთხვევაში, გერმანიაში ისინი არავის მოუწამლავს.

ვიქტორ და მარინა კალაშნიკოვები ბერლინში გასული წლის სექტემბერში ჩავიდნენ.

კალაშნიკოვმა განაცხადა, რომ რუსეთის დაზვერვა მან 1992 წელს პოლკოვნიკის წოდებით დატოვა, მას შემდეგ რაც მისმა ხელმძღვანელობამ ყურადღება არ მიაქცია მის პატაკს ორგანიზაციაში არსებული კორუფციის შესახებ.

იგი გარდა ამისა, ამტკიცებდა, რომ ბორის ელცინის ადმინისტრაციაში მუშაობდა და ამის გამო ყოფილ კოლეგებს სხვადასხვა თხოვნებზე არაერთხელ უთხრა უარი.

როგორც ვიქტორ კალაშნიკოვი, ასევე მისი მეუღლე იყვნენ ავტორები პუბლიკაციებისა, სადაც კრემლის პოლიტიკას, მათ შორის ჩეჩნეთში გატარებულ პოლიტიკას აკრიტიკებდნენ.

ყოფილი კოლეგების შურისძიებისა და მოწამვლის განცხადებებმა ყველას მაშინვე ალექსანდრ ლიტვინენკოს შემთხვევა გაახსენა, რომელიც 2006 წელს ლონდონში რადიოაქტიური პოლონიუმით მოწამვლის შედეგად გარდაიცვალა.

ბრიტანეთის გამოძიებამ ლიტვინენკოს მოწამვლის საქმეში ეჭვმიტანილად რუსეთის სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომელი, ანდრეი ლუგოვოი მიიჩნია. ეს უკანასკნელი ბრალდებებს უარყოფს.

# ლოს ანჯელესში მაიკლ ჯექსონის ექიმის საქმის წინასწარი განხილვა დაიწყო

ლოს ანჯელესში დაიწყო კონრად მიურეის, მომღერალ მაიკლ ჯექსონის ექიმის საქმის წინასწარი განხილვა.

პროცესის დაწყების შემდეგ პროკურატურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მაიკლ ჯექსონის ექიმი ცდილობდა დაემალა სამხილი იმისა, რომ მაიკლ ჯექსონმა გარდაცვალების წინ ძლიერმოქმედი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება პროპოფოლი მიიღო.

პროკურორებმა გარდა ამისა, განაცხადეს, რომ მიურეიმ სასწრაფო დახმარების სამსახურს მხოლოდ ჯექსონის გარდაცვალების შემდეგ დაურეკა.

როგორც პროკურორმა დევიდ უოლგრენმა განაცხადა, მომღერლის გარდაცვალების შემდეგ ექიმმა მცველს სამედიცინო ინვენტარის მოგროვება უბრძანა და მხოლოდ ამის შემდეგ უთხრა მას, რომ მომხდარის შესახებ ხელისუფლებისათვის შეეტყობინებინა.

ბრალდების მონაცემების თანახმად, 25 ივნისის დილით მიურეიმ ჯექსონს პროპოფოლი გაუკეთა, გარდა ამისა, მანამდე, ღამის განმავლობაში რამდენიმე სხვა ტკივილგამაყუჩებელი საშუალება მისცა.

უოლგრენი ასევე ამტკიცებს, რომ ექიმმა სათანადოდ ვერ ჩაატარა ხელოვნური სუნთქვის პროცედურა, გარდა ამისა, მოსულ ექიმებს არ უთხრა, რომ ჯექსონს პროპოფოლი მისცა.

პროკურატურის განცხადებით, სამედიცინო ექსპერტების აზრით, ექიმ მიურეის მოქმედება სტანდარტული სამედიცინო პროცედურებისაგან ძლიერ განსხვავდებოდა.

თავად ექიმი არაწინასწარგანზრახული მკვლელობის ბრალდებებს უარყოფს და ამტკიცებს, რომ ჯექსონის გარდაცვალება მის მოქმედებას არ გამოუწვევია.




აღსანიშნავია ისიც, რომ ქორეოგრაფმა კენი ორტეგამ სასამართლოში განაცხადა, რომ სიცოცხლის ბოლო დღეებში, ლონდონში დანიშნული კონცერტების წინ გამართულ რეპეტიციებზე მაიკლ ჯექსონი აშკარად ფორმაში არ იყო.

სასამართლო დადგენილების თანახმად, მაიკლ ჯექსონის გარდაცვალების მიზეზად ქირურგიული ანესთეტიკის, პროპოფოლის და სხვადასხვა სამედიცინო პრეპარატის ნარევის ჭარბი დოზა იქცა.

მოსალოდნელია, რომ მიურეის საქმის წინასწარი განხილვა რამდენიმე დღეს გასტანს.

# „პინქ ფლოიდი" და „ი ემ აი" შერიგდნენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სთოუნზის", „ქუინის", „რეიდიოუჰედს" სოლისტებსა და პოლ მაკარტნის არ მიბაძეს და „ი-ემ-აისთან" ურთიერთობა არ გაუწყვეტიათ.

მიმდინარე წლის მარტში ვეტერანმა როკერებმა ხმისჩამწერ სტუდიას ციფრულ აუდიოფაილების გაყიდვასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი მოუგო.

მუსიკოსები ამტკიცებენ, რომ ინტერნეტ მაღაზიებს, მაგალითად, „აითიუნსს" უფლება არ აქვს მათი ცალკეული სიმღერები გაყიდონ, რადგან „პინქ ფლოიდის" თითოეული ალბომი ერთ მთლიანს შეადგენს და მათი კომპოზიციებად დაშლა არ შეიძლება.

„ი-ემ-აი" ამ მოსაზრებას არ იზიარებდა და აღნიშნავდა, რომ „ჩანაწერი" ეს არის „ფიზიკური ობიექტი" და შესაბამისად მისი გავრცელება ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია.

ბოლოს და ბოლოს, სასამართლომ შემსრულებლების პოზიცია გაიზიარა, სტუდიის ადვოკატებმა აპელაცია წარადგინეს, მაგრამ დეკემბერში იგი სასამართლომ უარყო.

მიუხედავად ამისა, ახალი კონტრაქტის თანახმად, „პინქ ფლოიდის" ცალკეული კომპოზიციები ინტერნეტ მაღაზიების კატალოგებში დარჩება და მათი შესყიდვა შესაძლებელი იქნება.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# თენგიზ არჩვაძეს ვარსკვლავს გაუხსნიან

**ეკა ირემაშვილი**

ქართული თეატრისა და კინოს ცოცხალ ლეგენდას, თენგიზ არჩვაძეს,



მშობლიური მარჯანიშვილის თეატრის წინ ვარსკვლავს გაუხსნიან. როგორც ვარსკვლავების გახსნის ინიციატორმა დავით ოქიტაშვილმა განაცხადა, სამწლიანი მოლაპარაკებები შედეგიანად დასრულდა და მსახიობი, როგორც იქნა, დაითანხმეს, მისი სახელობის ვარსკვლავი გახსნილიყო.

თენგიზ არჩვაძემ თეატრალური უნივერსიტეტი დაამთავრა და მარჯანიშვილის თეატრში დაიწყო მუშაობა. მცირე დროით იგი რუსთავის თეატრშიც მოღვაწეობდა, თუმცა მოგვიანებით ისევ მარჯანიშვილის თეატრს დაუბრუნდა და ბოლომდე ამ თეატრში განასახიერა პერსონაჟები. საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა და არაერთი პრემიის მფლობელმა 130-მდე ფილმში მიიღო მონაწილეობა და მაყურებლის განსაკუთრებული სიყვარული დაიმსახურა. მის მიერ შესრულებული კინოროლებიდან ქართველ მაყურებელს საუკეთესოს გამორჩევა უჭირს, თუმცა, როდესაც თენგიზ არჩვაძეზე იწყებენ საუბარს, მომენტალურად ფილმები „დათა თუთაშხია" და „დიდოსტატის მარჯვენა" ახსენდებათ. თავად მსახიობისთვის კი ამ ცხოვრებაში მთავარი თავისი საყვარელი მაყურებლის სიყვარულია, რომელსაც თენგიზ არჩვაძე ყოველი ფეხის ნაბიჯზე განსაკუთრებულად გრძნობს.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის წინ თენგიზ არჩვაძის ვარსკვლავი სოფიკო ჭიაურელის, ოთარ მეღვინეთუხუცესის, გივი ბერიკაშვილის, გურანდა გაბუნიასა და თამარ სხირტლაძის ვარსკვლავების გვერდით გაიხსნება. ეს მარჯანიშვილის თეატრის წინ გახსნილი რიგით მეექვსე ვარსკვლავი იქნება. ჯერჯერობით არ არის ცნობილი კონკრეტული თარიღი, თუ როდის გაუხსნიან ვარსკვლავს გენიალურ მსახიობს.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში თენგიზ არჩვაძის შემოქმედებითი საღამოსთვის მზადდება უკვე დაწყებულია. მსახიობი თბილისში არ იმყოფება, ამიტომ ყველას აქვს სურვილი, მას სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადოს. შემოქმედებით საღამოზე მისული მაყურებელი ყველა იმ კინო თუ თეატრალურ როლს კიდევ ერთხელ ნახავს, რომლებმაც თენგიზ არჩვაძეს მაყურებლის უზომო სიყვარული და პოპულარობა მოუტანა.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ძვირფასი, წაბლისფერი ბეწვის მქონე პატარა მღრღნელი ცხოველი; 2. მთიანეთი ევროპაში; 3. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 4. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 5. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირის" პერსონაჟი; 7. ცირკის მასხარა, კლოუნი; 11. ლუდის სასმელი ჭურჭელი; 12. სხვადასხვა კლასის სამგზავრო ვაგონებისგან შედგენილი მატარებელი; 13. ფირმა „ადიდასის" დამფუძნებელი; 14. გულის ერთ-ერთი ნაწილი; 15. ამერიკული ჯიპი; 17. უკრაინული ლუდი; 19. რძის პროდუქტი.

**თარაზულად:** 5. ახალშობილი ბატკნის ხუჭუჭბეწვიანი ტყავი; 6. თანამედროვე ქართველი კომპოზიტორი; 8. აჟიოტაჟი რაიმე მოვლენის ირგვლივ, სენსაცია; 9. იამაიკელი სპრინტერი მამაკაცი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 10. კინოვარსკვლავ ბრიჯიტ ბარდოს ნამდვილი გვარი; 11. ცხვრის, თხის, ხბოს ტყავისგან დამზადებული ჭურჭელი ღვინის ან არყის ჩასასხმელად; 13. მოსამართლე ძველად საქართველოში; 14. ჩეხური, ჩქარტემპიანი ცეკვა; 16. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 18. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 20. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში; 21. პიანინოების მწარმოებელი გერმანული ფირმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „კლინიკა"; 2. მარიჯანი; 3. კრიმინალი; 4. სორბიტი; 5. შამპინიონი; 10. „მაკაბი"; 11. ეპიკარდი; 12. დუქარდი; 13. არქტიკა; 16. კურლანდია; 17. შოკოლადი; 19. ავლაბარი; 21. ხომლი; 23. ცეკვა.

**თარაზულად:** 6. „ალადასტური"; 7. ფოფოდია; 8. სირაჯი; 9. კირჩხიბი; 14. „ბრასკუბა"; 15. ბაქტრიანი; 18. „სადია"; 20. კობზარი; 22. „ნაცნობი"; 24. მონეტა; 25. ადმირალი; 26. ნევადა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. აბრაგი; 2. „აქსისი"; 3. კეიტონი; 4. ჯინჯილა; 5. ქვაწვია; 7. კამბუზი; 11. წალკა; 12. „ნიანგი"; 13. პარხალი; 14. სლოგანი; 15. ლინატე; 17. ვებერი; 19. პატი.

**თარაზულად:** 5. ქულბაქი; 6. გოდერძი; 8. სუმო; 10. ვანილი; 11. წრფე; 13. პიკადორი; 14. „სილვა"; 16. ტვინი; 18. „ხიხვი"; 20. ნექტარი; 21. ტუგრიკი.

# დნმ-ტესტირებამ გაამართლა ადამიანი, რომელმაც ციხეში 30 წელი გაატარა

აშშ-ის ტექსასის შტატის სასამართლომ გააუქმა კორნეიუს დიუპრე-უმცროსისათვის გამოტანილი განაჩენი, რომლის ძალითაც მან ციხეში 30



წელი გაატარა. განაჩენის გადასინჯვის საფუძვლად დნმ-ანალიზის შედეგი იქცა.

1979 წელს დიუპრე-უმცროსს თანამზრახველთან ერთად 26 წლის ქალის გაუპატიურების და გაძარცვის ბრალდებები წაუყენეს.

გაუპატიურების ბრალდებების პროცესი არ გამართულა, დამამძიმებელ გარემოებებში შეიარაღებული ძარცვის ბრალდებებით კი მას 75 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. დუპრე უმცროსი და მეორე განსასჯელი, ენტონი მასინჯილა დანაშაულის მსხვერპლმა ამოიცნო. დიუპრე ციხეში 30 წლის გატარების შემდეგ შეიწყალეს და 2010 წელს გაათავისუფლეს. ერთი კვირის შემდეგ კი დნმ-ტესტირებამ მისი უდანაშაულობა დაადასტურა.

ამის გამო სასამართლომ დიუპრესათვის გამოტანილი განაჩენი ოფიციალურად გააუქმა.

დიუპრეს თქმით, თავისუფლება დიდი ბედნიერებაა, მაგრამ ციხეში ამდენი წლის გატარების შემდეგ მას ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები ეუფლება.

„უნდა ვაღიარო, ნაწილობრივ ეს სიბრაზეა, მაგრამ სიხარულიც არის და სიხარული სიბრაზეს ძლევს“, — თქვა მან სიენენის ინტერვიუში.

2001 წლის შემდეგ ტექსასში დნმ ტესტირების ანალიზის შედეგად უკვე 41-ე ადამიანს ამართლებენ. ამ მაჩვენებლის მიხედვით ტექსასი ყველა სხვა შტატს უსწრებს. ამასთან, დიუპრე უმცროსმა სხვა გათავისუფლებულ ტექსასელებთან შედარებით ციხეში უფრო მეტი დრო გაატარა.

მოსალოდნელია, რომ დიუპრესთან ერთად მასინჯილის საქმეც გადასინჯონ. თუმცა იგი სხვა, პირველთან რაიმე კავშირის არმქონე ბრალდებების გამოც იხდის სასჯელს.

# ტოკიოში ერთი თევზი 400 ათას დოლარად გაიყიდა

გიგანტური ცისფერი თუნია თევზი, რომლის წონაც 342 კილოგრამს აღწევდა, ტოკიოს აუქციონზე სარეკორდო თანხად, 32.49 მილიონ იენად, ანუ თითქმის 400 ათას დოლარად გაიყიდა.



იაპონიის კუნძულ ჰოკაიდოს ჩრდილოეთით დაჭერილი ეს თევზი ტოკიოს გინზას პრესტიჟულ რაიონში მდებარე რესტორნისა და ჰონგ კონგის სუში ბარის მფლობელებმა ერთობლივად შეიძინეს.

სუშის მწარმოებლები განსაკუთრებით ცისფერი თუნიას ხორცს აფასებენ. გადაჭარბებული თევზჭერის გამო სპეციალისტები უკვე შიშობენ, რომ ეს თევზი გადაშენების პირას შეიძლება აღმოჩნდეს.

გასაყიდად გამოტანილი იყო 500-მდე თევზი, რომლებიც ტოკიოს ბირჟაზე პირდაპირ ბეტონის იატაკზე იყო დაწყობილი.

იაპონია მსოფლიოში ზღვის პროდუქტების უდიდესი მომხმარებელია, თუმცა თევზის პროდუქტების გაძვირებას ბოლო დროს უფრო ჩინეთში თევზსა და ზღვის პროდუქტებზე გაზრდილ მოთხოვნილებას უკავშირებენ.

# ირანის ყოფილი შაჰის უმცროსმა ვაჟმა თავი მოიკლა

ირანის დევნილი შაჰის ოჯახის წევრების განცხადებით, შაჰის უმცროსმა ვაჟმა ალირეზა ფეჰლევიმ ხანგრძლივი დეპრესიის შემდეგ აშშ-ში თავი მოიკლა.



ირანის შაჰის ოჯახის განცხადებაში ნათქვამია, ისინი ენით აუწერელი მწუხარებით იუწყებიან პრინც ალირეზა ფეჰლევის სიცოცხლესთან განშორების შესახებ.

ირანის შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი ტახტიდან 1979 წელს ირანის ისლამური რევოლუციის შედეგად ჩამოაგდეს.

გაზეთ ბოსტონ ნიუსის ცნობით, პოლიციამ განაცხადა, რომ 40 წლის ალირეზა ფეჰლევიმ ცეცხლსასროლი იარაღით მოიკლა თავი.

როგორც ირანის შაჰის ოჯახის წევრებმა განაცხადეს, ალირეზა ფეჰლევი სხვა ახალგაზრდა ირანელებთან ერთად მძიმედ განიცდიდა იმ მოვლენებს, რაც მის სამშობლოში ხდება. გარდა ამისა, მასზე უარყოფითად იმოქმედა იმან, რომ ძალიან ახალგაზრდამ მამა და და დაკარგა.

ალირეზა ფეჰლევი მასაჩუსეტსის ჰარვარდის უნივერსიტეტში ძველი ირანის ფილოლოგიას და ისტორიას სწავლობდა. გარდა ამისა, იგი ნიუ იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტშიც სწავლობდა. ალირეზა ფეჰლევის და 2001 წელს 31 წლის ასაკში ლონდონის სასტუმროში გარდაიცვალა. მათი მამა, ირანის ყოფილი შაჰი ეგვიპტეში 1980 წელ გარდაიცვალა.

# აშშ-ის ადმინისტრაცია ჩინოსნების გუნება-განწყობილებას დააკვირდება

აშშ-ის თეთრი სახლის ადმინისტრაციამ სამინისტროებსა და უწყებებში გააგზავნა ცირ-




კულარი საიდუმლო დოკუმენტებთან მომუშავე ჩინოსნების გუნება-განწყობილების შემსწავლელი პროგრამის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

11-გვერდიანი დოკუმენტი აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მართვისა და ბიუჯეტის ოფისის ხელმძღვანელმა ჯეიკობ ლიუმ მოამზადა. როგორც ენბისი იუწყება, ეს ცირკულარი საიდუმლო ინფორმაციასთან მომუშავე ყველა უწყებას გაუგზავნეს.

იმ ჩინოსნებს ურჩევენ ყურადღება მიაქციონ თანამშრომლების ყოფაქცევას, რომლებსაც საიდუმლო ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი. კერძოდ, ცირკულარში მოცემულია ინსტრუქციები ფსიქიატრებისა და სოციოლოგების მომსახურების გამოყენების შესახებ, რომლებმაც თანამშრომლების „შედარებითი ბედნიერების“ სტატუსი უნდა შეაფასონ, გარდა ამისა, უნდა გამოარკვიონ, თუ რამდენად დათრგუნულად ან გალიზიანებულად გრძნობენ ისინი თავს.

ამ ინსტრუქციებმა ხელმძღვანელობას ინფორმაცია უნდა მიაწოდოს იმის შესახებ, თუ რამდენად სანდო შეიძლება იყოს ესა თუ ის თანამშრომელი.

აშშ-ის ოფიციალური პირებს ეიბისის ინფორმაციისათვის კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ. ამ ცირკულარის შექმნა ინტერნეტ საიტ „ვიქილიქსის“ და მისი ავტორის, ჯულიან ასანჯის მიერ დიდი რაოდენობით აშშ-ის საიდუმლო დოკუმენტების გამოქვეყნებამ განაპირობა. პუბლიკაციების შემდეგ საიტი და მისი დამფუძნებელი აშშ-ის ზეწოლის ქვეშ მოექცნენ და ეს ზეწოლა საიტზე ამერიკული დიპლომატიური ფოსტის საიდუმლო შეტყობინებების გამოქვეყნების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# ექსპერტები გოლფსტრიმის დინების გაქრობას შეუძლებლად მიიჩნევენ

ქართველი გარემოს დაცვის ექსპერტები ატლანტის ოკეანეში არსებული გოლფსტრიმის თბილი დინების გაქრობას შეუძლებლად მიიჩნევენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თემის კომენტირებისას გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა რამინ გობეჯიშვილმა განუცხადა, მსგავსი პროგნოზი მართლაც არსებობს, თუმცა იქამდე მინიმუმ 200 წელია.

— გოლფსტრიმის თბილი დინების გაქრობა შეუძლებელი და ყოვლად დაუშვებელია, რადგან გოლფსტრიმს რამდენიმე ათეული ათასი წელიწადია მიმართულება არ შეუცვლია და ეს არის მკვიდრად დამყარებული წონასწორობა. თბილი წყლები გადაადგილდებიან ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ და შემდეგ ისევ ბრუნდებიან ცირკულაციის გზით სამხრეთისაკენ. ასე რომ, ეს გამორიცხულია. თუ გოლფსტრიმი გაჩერდა, მთლიანად შეიცვლება კლიმატური გარემო ევრაზიის კონტინენტზე, მოხდება ბუნების გადაწყობა, აცივდება და ტემპერატურა სწრაფად დაიწყებს კლებას, — აღნიშნა გობეჯიშვილმა.

უცხოური საინფორმაციო საშუალებები რამდენიმე დღეა იუწყებიან, რომ დედამიწაზე ესესაა ცხოვრება შეიცვალა, რადგან გოლფსტრიმის თბილი დინება აღარ არსებობს. ინფორმაციის გავრცელებისას უცხოური პრესა თანამგზავრის ბოლო მონაცემებს ეყრდნობა. გოლფსტრიმის თბილი დინება ევრაზიის კონტინენტის კლიმატურ პირობებს განსაზღვრავს. იგი მსოფლიოს გლობალური გამყინვარებისაგან იცავს და პლანეტის სითბური რეგულირებისთვის საკვანძო ელემენტს წარმოადგენს.

**ინტერპრესნიუსი**

# სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია და ალ.ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდებული პიროვნების, საიმედო მეგობრისა და მთამსვლელის



**ვანო ყვავილაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

გია ჭუბაბრია, მერაბ კერესელიძე, ნუგზარ მაისურაძე, ნუკრი სანაძე, ჯემალ ხაჩიძე, ნიკო გამყრელიძე, გურამ ჯანიაშვილი, ივანე ჯაფარიძე დიდად დაამწუხრა ბავშვობის მეგობრის

**ვანო ყვავილაშვილის**

გარდაცვალებამ და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე დინარა ყორშია, შვილები რამაზ, ელზა, მახო გადელიები, სიძე კახა გოგუა, რძალი შორენა ნადიბაიძე, შვილიშვილი ნიკოლოზი, ძმები დემურ, აპოლონ, თამაზ, დები ანგელინა, ლეილა, ანა გადელიები, ცოლისძმები აბრამ, ზაურ ყორშიები ოჯახებით, დისშვილები, ძმისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბორის გადელია**

პანაშვიდი: 6, 8 იანვარს, 16 საათზე, ქ.თბილისი, გოგებაშვილის III შესახვევი, ჩიხი №1, სახლი №7.

გამოსვენება: 9 იანვარს, 15 საათზე, ვერის სასაფლაოს ეკლესიიდან.

---

ენძელა, დარეჯან, დალი, პეტრე ბერაიები შვილებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ დემურ გადელიას ძმის

**ბორის გადელიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

სამშობიარო „იმედის კლინიკა“ სამძიმარს უცხადებს ექიმ ნინო აბრამიშვილს მამის

**უშანგი აბრამიშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 6 იანვარი**

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 დოკ. ფილმი „მსოფლიოს ოდისეები„ 08.00 ან. ფილმი „ჯუმანჯი„, „ადამიანი ობობა„ 09.00 საბ. ფ. „პიტერ პენი„ 10.50 ან. ფილმი „ელმოს თავგადასავალი ბუზღუნეთში„ 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 მხ. ფილმი „ქეროლის შობა„ 14.00 საბ. სერ. „პინოქიო„ 15.00 სერ. „ტკბილი, მწარე ცხოვრება„ 17.00 სერ. „საიდუმლო კუნძული„ 19.05 დოკ. ფ. „სანტა კლაუსი„ 19.40 პეპეს ზღაპრები 22.00 ქართ. ტელეფილმი „გზა მაცხოვრისა„ 23.00 ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაული (პირდაპირი ტრ.)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17,45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00, 19.00 დოკ. ფილმი „ეგვიპტე„ 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 20.00 მხ. ფ.„უმცროსი სანტა„ 23.00 ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაული (პირდაპირი ტრ.) (პირველ არხთან პარალელურ რეჟიმში)

08.00 ანიმაცია „რქები და ჩლიქები„ 10.00 ანიმაცია „გარფილდი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.15 მხ. ფილმი „ზორო„ 14.30 „გუნცაძეები„ მე-4 ს. 15.15 მხ. ფილმი „მკვეთრი ვირაჟები„ 17.30 დოკ. ფილმი „ჯემის ოჯახის შობა„ 18.30 სერ.„სისხლის საიდუმლო„ 18.50 სერ. „დანიელა„ 19.50 სერ.„სად არის ელისა„ 22.00 პროფილი 23.30 ტოკ-შოუ 00.00 მხ.ფ.„ინდიანა ჯონსი 3„ 02.00 მხ.ფ.„ფილმი „აბბა„—ზე„ 04.00 მხ. ფილმი „დაბნეული“

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია „არგაი„ 09.00 სერ. “ჩენტო ვეტრინე„ 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. „დაუნდობელი სამყარო„ 12.00 სერ. „თოვლის დედოფალი„ 13.00 „მზესუმზირა„ (პირდ.) 14.30 მხ. ფილმი 17.30 ანიმაცია 19.00 სერ. „ვნებათა მიწა„ 20.00 სერ. „დაუნდობელი სამყარო„ 21.00 კონცერტი: ქართული ხმები 22.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 00.00 სერ.„გაუხსნელი საქმე„ 00.10 მხ. ფილმი

08.00 მხ. ფილმი „სახლში მარტოდ დარჩენილი 3„ 10.00 სერ. „სილამაზის მსხვერპლი„ 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. „მეორე სიცოცხლე„ 13.00 სერ.„ლობას საიდუმლო„ 14.40 წუთისოფელში 15.00 ინტუიცია 16.00 სერ. „ლუნას მემკვიდრეობა„ 17.40 სერ. „მოჯადოებული„ 18.45 სერ.„ლობას საიდუმლო„ 21.00 სერ. „ქალბატონი„ 22.00 კონცერტი: იუმორინა 23.30 ან. ფ. „სამსონაძეები„ 00.00 კონცერტი: დ. გომართელი 01.30 მხ.ფ.„ნამდვილი მაკკოი„ (კ. ბესინგერი) (სუბტ.) 03.35 მხ. ფილმი „ჩემი ძმაკაცის შეყვარებული„ (12) (ჯ. ბიგსი) (სუბტ.) 05.35 მხ. ფ. „დამცველი„ (12) (დ. ლუნდგრენი) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 „დრო„ 09.00 მუსიკა 09.30 სერ. „დაშნების დედოფალი„ 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. „იდუმალი სტუმარი„ 13.00 ქართ. ფილმი „მხიარული რომანი„ 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. „მოჯადოება„ 19.00 ქართ. ფილმი „უდიპლომო სასიძო„ 23.00 სერ. „სალომეა„ 00.00 საშობაო ლიტურგია (პირდაპირი)

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა „განთიადი„ 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 გადაცემა „კარაბადინი„ 11.00 სუფთა დაფა 11.50, 17.50 საქართველოს სამართლის ისტორია 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საგალობელი 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 12.20 მხ. ფილმი „პირველი მერცხალი„ 13.30 კონცერტი 15.10 მხ. ფილმი „ლომა„ 16.20 დოკ. ფილმი „ველური ბუნება„ 16.45 მულტფილმი 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 19.20 მხ. ფილმი „იავნანა„ 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.25 დოკ. ფილმი „ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შესამოსელი„ 22.25 კონცერტი 23.00 ხორციელად შობა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი (ტრანსლაცია სამების ტაძრიდან)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2010 წლის 6 იანვარს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,781
ევრო — 2,4644
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536
რუსული რუბლი — 0,0583

**ამინდის პროგნოზი 6 იანვრისთვის**

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 3-§, ღამით — 9-3
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-29, ღამით — §-11,
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — -7-3, ღამით — -12-1






## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო” უებარი წამალია

„სალხინო“ ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს“ ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

,,სალხინოს'' შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.

## ასტროპროგნოზი 6 იანვრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**
**შემოქმედებითი დღეა**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ტყუპები** — დაისვენეთ და გაერთეთ, საღამოს ახალ ამბავს გაიგებთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — პოზიტიური დღეა, თამამად იმოქმედეთ. **ქალწული** — გზიდან ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **სასწორი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — ახალ სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ, უფროსობა გწყალობთ. **თხის რქა** — ეს დღე მშვიდად ჩაივლის, მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება. **მერწყული** — წარმატებული დღეა, იაქტიურეთ. **თევზები** — საყიდლებზე წასვლა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, საღამოს მეგობრებს შეხვდებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 2. დილის სერენადა ესპანეთში; 3. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 4. რძის შაქარი; 5. მანათობელი მწერი; 10. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 11. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 12. თავშეუკავებლობა, წრეგადასული ქმედება; 13. ცხვრის ფარის მცველი დიდი ქოფაკი; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატლანტის აეროპორტი; 17. პოლონური სამეჯლისო ცეკვა; 19. უბანი თბილისში; 21. მდინარე რომში; 23. ხელოვნური მარმარილო.

**თარაზულად:** 6. პირველყოფილი ადამიანი, რომელიც გამოქვაბულში ცხოვრობდა; 7. ფირმა „ადიდასის“ დამფუძნებელი; 8. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული შავი ფერის ფისიანი ქვანახშირი; 9. დაპყრობითი ომის გამჩაღებელი ქვეყანა; 14. პოპულარული ირლანდიური ჯიში; 15. სერბი კინორეჟისორი; 18. ველორიქშა ინდოეთში; 20. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 22. ბასკებით დასახლებული რაიონი სამხრეთ საფრანგეთში; 24. თვალის დაავადება, ახლო მხედველობა; 25. მაღალხარისხოვანი ნაყინი; 26. წყლით სამკურნალო აბაზანა.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*



## ელისო ბოლქვაძემ დაბადების დღე თბილისში გადაიხადა

ეკა ირემაშვილი

ცნობილმა ქართველმა პიანისტმა ელისო ბოლქვაძემ დაბადების დღე ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მშობლიურ ქალაქ თბილისში გადაიხადა. მისი დაბადების დღის აღნიშვნის ორგანიზატორები პიანისტის მეგობრები და ნათესავები იყვნენ. ხელოვანმა დაბადების



დღე ლისის ტბის კლუბში აღნიშნა და წვეულებაზე მეგობრები, კოლეგები და ნათესავები დაპატიჟა. სტუმრებს შორის მრავლად იყვნენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ხელოვანებიც. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მოწვეული დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანო საქართველოში სპეციალურად ქართველი პიანისტის დაბადების დღეზე ჩამოვიდა. ელისო ბოლქვაძე საქართველოში სპეციალურად ახალი წლისთვის ჩამოვიდა. რამდენიმე დღის წინ მან

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## იუმორი



— ავტორბოლა ქალაქის ქუჩებში — ყველაზე ბოლოს მოსული ყველა ავტომობილის რემონტის ღირებულებას აანაზღაურებს.

***

— სამოქალაქო ომის ვეტერანისათვის რაიმე შეღავათები გათვალისწინებულია?
— რომელი ომის?
— მე ხომ სამოქალაქო ქორწინებაში ვიყავი...

***

— ერთმა ახალგაზრდამ მდიდარი, ხანდაზმული ქვრივი შეირთო და რომ მოკვდა, მისი ქონება ცოლს დარჩა...

***

ორი ბიჭი კამათობს:
— მამაჩემი შენსაზე მდიდარია.
— სამაგიეროდ, ჩემი უფრო ჭკვიანია.
— მამაჩემმა შენსას იცი რამდენი ფული ასესხა?
— მერე რა, ჩემი არ დაუბრუნებს.

***

ტიპმა მანქანა ავტოსადგომზე გააჩერა. უკან დაბრუნებული ხედავს, რომ საბარგული სალონშია შეჭეჭყილი. გაოგნდა. უცბად, საქარე მინაზე მიმაგრებული ქაღალდის ფურცელი დაინახა. აკანკალებული ხელებით გაშალა და კითხულობს:„ახლა ათობით თვალი მიყურებს, ჰგონიათ, რომ ამ ფურცელზე მისამართს და ტელეფონს ვწერ, იდიოტები!“

***

— ჩემი ცოლი საჭესთან ნამდვილი ელვაა.
— ასეთი სწრაფია?
— არა, ხეს არ ტოვებს...

გ. თ.

## 2016 წლის ოლიმპიური თამაშები ხმაურით იწყება

**როგორც მოგეხსენებათ, 2016 წელს ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ბრაზილიის ქალაქ რიო დე ჟანეიროში გაიმართება, თუმცა, 31-ე ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით, უკვე აგორდა სკანდალი.**




საქმე ის არის, რომ ოლიმპიადის ლოგოს პრეზენტაცია ახალი წლის დღეებში გაიმართა, რასაც უმალ ხმაურიანი განცხადებები მოჰყვა. ბრაზილიურმა საინფორმაციო სააგენტოებმა ლოგოს შემქმნელები პლაგიატობაში ამხილეს. ჟურნალისტები ამტკიცებენ (ან, რა დამტკიცება უნდა, ფოტოზე თავად ნახავთ), რომ რიო-2016 წლის ლოგო ძალიან წააგავს ამერიკული საქველმოქმედო ფონდის, „ტელურეიდ ფონდაშიონის“ ლოგოს.

ორივე ლოგოზე გამოსახულია ხელჩაკიდებული ადამიანების ფიგურები, რომელთა ფერებიც და საერთო სილუეტიც ძალიან წააგავს გულის ფორმას. ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ ფონდის ლოგოზე 4 ადამიანია გამოსახული, ხოლო ოლიმპიურ ლოგოზე — 3.

ცხადია, დიზაინერებმა უმალვე თავი იმართლეს — არც ფონდის არსებობა ვიცოდით, არც მათი ლოგო არ გვენახა არასდროს და ეს ყველაფერი უბრალო დამთხვევააო, მაგრამ მტკიცებულებები ცოტა ძნელი დასაჯერებელი ხდება.

მოკლედ, ხმაური ატეხილია. ერთია, ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიადის ლოგოს შეცვლას ალბათ არ მოისურვებს, მაგრამ, თუ საქველმოქმედო ფონდის წარმომადგენლები დაინტერესდებიან ამ საკითხით, მაშინ ყველაფერია მოსალოდნელი.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## „პინქ ფლოიდი“ და „ი ემ აი“ შერიგდნენ

ლეგენდარულმა ბრიტანულმა ჯგუფმა „პინქ ფლოიდმა“ დაასრულა სასამართლო დავა ხმისჩამწერ სტუდია „ი-ემ-აისთან“ და მასთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი.



როგორც სტუდიის განცხადებაში არის ნათქვამი, ახალ კონტრაქტში ყველა იურიდიული სადავო მომენტი არის შეთანხმებული.

„პინქ ფლოიდმა“ არსებობის განმავლობაში თავისი ალბომების 200 მილიონი ეგზემპლარი გაყიდა. სტუდია „ემისთან“ იგი 1960-იანი წლებიდან თანამშრომლობს. ახალი კონტრაქტი ხუთწლიანია.

ანსამბლთან შეთანხმების შესახებ გავრცელებულ განცხადებაში „ემის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ „პინქ ფლოიდი“ თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი ჯგუფია და მასთან თანამშრომლობა „ი-ემ-აისთან“ დიდი პატივია.

აღსანიშნავია, რომ ჯგუფის წევრებმა თავიანთ კოლეგებსა და თანამემამულეებს, ანსამბლების, „როლინგ

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## იუმორის გრძნობის ტესტი

ტესტი



**ტესტის შეკითხვებს დადებითი და უარყოფითი პასუხი გაეცით.**

1. განაწყენდებით, თუ გითხრეს, რომ იუმორის გრძნობა არ გაქვთ?
2. გიყვართ ანეკდოტები?
3. შეგიძლიათ უთხრათ უცნობ მამაკაცს, რომ პიჯაკი არასწორად აქვს შეკრული, ქალს კი პომადა აქვს გადღაბნილი?
4. პოულობთ თუ არა საერთო ენას ბავშვებთან?
5. გულშემატკივრობთ რომელიმე სპორტულ გუნდს?
6. გიყვართ ხატვა?
7. როდესაც გეცინებათ, ცდილობთ თუ არა სერიოზული სახის შენარჩუნებას?
8. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ საკუთარი თავი მოულოდნელ სიტუაციაში?
9. თუ გჩვევიათ მრისხანების აფეთქება?
10. თუ სარგებლობთ კამპანიის მოყვარული ადამიანის რეპუტაციით?
11. ხშირად გიფუჭდებათ ხასიათი?
12. გიხარიათ, კომპლიმენტებს რომ გეუბნებიან?

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით (გარდა მე-11 და მე-12 შეკითხვებისა .**

**პასუხები**

**0-3 ქულა:** ძალიან სერიოზული ადამიანი ხართ, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას თქვენს ჯანმრთელობას. მოიხსენით მუქი სათვალე.

**4-6 ქულა:** იუმორის გრძნობა კი გაქვთ, მაგრამ იგი თქვენი დამახასიათებელი თვისება არ არის.

**7-9 ქულა:** თქვენი იუმორის გრძნობა დელიკატური და კონსტრუქციულია, ყველას ოპტიმიზმს, ენთუზიაზმს უზიარებთ.

**10-12 ქულა:** ორი ადამიანისათვის საკმარისი იუმორის გრძნობა გაქვთ. იგი საიმედოდ გიცავთ სტრესისგან.

გ. თ.